



გაზეთი გაეშალა
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ gmail.com

მაცნე

სამტრედიის

N23 (9310)


20 აპრილი, 2019 წელი

ფასი 50 თეთრი

საქართველოს მთავრობის სამტრედიის სოფლებში




2



გადლოვა
მუნიციპალიტეტის
მერს

“დედაენა” ბრუნდება



6

აზიზურიენტიანი
ყვალაზე
მადალი
ქულით

5

“არ არის სამართალი?
_ არ იქნება მშვიდობა!”



9

3 “ერთად ღვიძვით
საქართველო”

საქართველოს მთავრობა სამხრეთის სოფლებში

წინა ნაბიჯი

და დალოცვის რეჟიმში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები 19 აპრილს, ფერისცვალების დღესასწაულზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტს სტუმრობდნენ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძე, იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, საქართველოს პარლამენტის წევრები: გრიგოლ მიქელაძე და გიორგი კახიანი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დანიის, ჩხენიძის, მელაურისა და იანეთის მე-9 უბნის მოსახლეობას შეხვდნენ. ადგილზე გაეცნენ პრობლემებს, ისაუბრეს მათი გადაჭრის გზებზე, მონიშნეს კონკრეტული თემები, რომელთა მოგვარების პრობლემა იქვე დადგეს.

შეხვედრაზე მოსახლეობა ძირითად ყურადღებას სოციალურ საკითხებზე ამახვილებდა. მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძემ ჯანდაცვის სფეროში განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა. განსაკუთრებული ყურადღება მან უფასო მედიკამენტების ახალ პროგრამაზე

გამახვილა, რასაც მოსახლეობის მხრიდან დადებითი შეფასებები მოჰყვა. მინისტრის მოადგილეს სოციალურად დაუცველთა ბაზიდან ამოღებულმა მოქალაქეებმა დახმარება სთხოვეს. გამოიკვეთა, რომ სოფლის მცხოვრებლებს სოციალურად ერთად ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მხრივაც აქვთ პრობლემები. გზები და სანიაღვრე არხები, აზიურ ფაროსანასთან ბრძოლა, სადავო მიწების დაკანონება, საერთო გასაჭირი – დასაქმება, საკმარისი პაკეტის გაუქმობის შესახებ – ეს ის საკითხებია, რაზეც დანიში, ჩხენიძეში, მელაურსა და იანეთში მე-9 უბანში ადგილობრივებმა ხელისუფლებისაგან მოგვარება ითხოვეს. მოსახლეობას მხედველობიდან არ გამოიჩინა სოფლებში განხორციელებული ქუჩების შეკეთებები, რაზეც ისინი რეაგირებას ცენტრალური ხელისუფლებისაგან მოელოდნენ.

გარდა პრობლემებისა, სამტრედიის მუნიციპალიტეტში შეხვედრებს პოზიტიური განწყობაც ახლდა: თითქმის ყველა სოფელში ხელისუფლების წარმომადგენლებს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებზე მაღლობა გადაუხადეს.



მაღლობა მუნიციპალიტეტის მერს

ლევან გაბრიძა

ამჯერად მოსახლეობამ თავის ქუჩაზე გზის გაკეთებისათვის გადაუხადა.

ორშაბათი, 12 აპრილი. მუნიციპალიტეტის მერმა მდიდის წარმომადგენლები ამჯერადაც გვიხმო და ქალაქის ტერიტორიაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროს ზურაბ ვოგიასა და ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელ თენგიზ ცაგურაიასთან ერთად მოვიხმო.

მალიდან მზე აცხუნებს, ქვემოდან ოხშივარი ასდის ახალდაგებულ ასფალტს. ჯამბურ თავამის ქუჩაზე ვიმყოფებით. მძღვარი ტექნიკის მუშაობას თვალყურს ადევნებენ ქუჩაზე მცხოვრებნი.

მიქაძეების კვირითან შეყვრილი ხეთა ჩრდილქვეშ. თვალს არ ვუჯერებთ, რა სიხარული გვეწვია, ალტაცებას არ მალავდნენ შეკრებილები, სწორედ მათ უთხრეს მაღლობა ვალერიანე ფოცხვერიას კარგი გზისა და ყურადღებისათვის, თანაც “დრო იხელთეს” და ახალი სათხოვარიც შეაპარეს: ერთ ან ორ ურნას თუ დაგვიდგამთ, მთლად კარგი იქნებაო. არც ამჯერად გაუცია ფუჭი დაპირებები ვალერიანე ფოცხვერიას. მომავალში უქვეყლად გავითვალისწინებთო, დაპირდა მათ.

შპს “არქეოპოლისი” აწარმოებს აქ სამუშაოებს. ქალაქის ტერიტორიაზე გამავალი ერთი შეხედვით უპრეტენზიო ლეუ-მდინარეები უხვი ნალექის შემთხვევაში თავსატეხს უჩენს სამტრედიელებს. ნაჩხეტაურში ვიმყოფებით. ტექნიკა მდინარე ლოლბას კალაპოტს აღრმავებს. ნაგვისაგან ათავისუფლებს ლამის ნაპირებამდე ამოსულ არხს. აქედან არცთუ შორს მდინარე რიონია, სწორედ რიონთან ლობას შეერთების სიახლოვეს გახლდით ამ დღეს. მუნიციპალიტეტის მერმა საქმე შეუქო სამუშაოთა შემსრულებლებს, რომლებიც, დიანაც, რომ იმსახურებენ ქებას.

შპს “სარტყელი” აწარმოებს აქ სამუშაოებს. ყოველი დღე გვაახლოებს ახალი სასწავლო წლის დაწყების მასწავლებლის ზარის დარეკვასთან.

საზაფხულო არდადეგებია, თუმცა მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფლასა და სოფლამდელ დასახლებულ პუნქტებში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. წლების წინ სკოლების ოპტიმიზაცია რომ განხორციელდა, ქალაქის ყოფილი მე-5 (ილორის) სკოლა მე-2 საჯარო სკოლას შეერწყა, სასწავლო პროცესი, როგორც მე-2 საჯარო სკოლაში, ისე ილორში არსებულ სასკოლო კორპუსშიც მიმდინარეობს. თანხლებ პირებთან ერთად მუნიციპალიტეტის მერმა ორივე კორპუსი მონახულა, სადაც სარეაბილიტაციო სამუშაოები წარმოებს.

სკოლის დირექტორი თეა კარტოზია ადგილზე დაგვიხმო და კმაყოფილება გამოთქვა მუნიციპალიტეტის მესვეურთა და სამუშაოთა შემსრულებლების მიმართ.

დეტალურად დაინტერესდა ვალერიანე ფოცხვერია შესრულებული სამუშაოების ხარისხით, ვადებით, მთავარია სველი წერტილების მოწესრიგება, კიდევ ერთხელ აღნიშნა მან.

სკოლაში მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს შპს “ლაშა” (დირექტორი ანზორ ჩაჩუა) აწარმოებს.

ხედედიდის ქუჩაზეც ასფალტი იგება. შპს “ლატექსის” ტექნიკა მუშაობს აქ. გზა, მართლაც, კარგია, ფართო, განიერი.

ამჯერად ხსენებულ ლოკაციებზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების მონახულებით დასრულდა ჩვენი მოგზაურობა. გვესიამოვნა გულიანად ნაკეთები საქმე და მოსახლეობის მიერ გამოთქმული სამადლობელი.

თუ ასე გაგრძელდა, მალე უასფალტო გზის ნახვა იქნება იშვიათი, – ეს იმ მეგზვეის სიტყვებია, მერისა და მის თანხლებთა პატივსაცემად “წუთისხუნება” რომ აიღო.



“ერთად ღვიძვით საქართველო”

ნათია ნაცვლიძე

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აგრძელებს ტერიტორიული რეზერვის პროგრამას, რომელიც საბილოტე სახით მიიღონარობდა კახეთსა და აჭარაში, ამ ეტაპზე პროექტში იმერეთიც ჩაერთო. სამხედრო პირების სამტრედიის ვიზიტის მიზანი სწორედ ამ პროექტის პრეზენტაცია და მოსახლეობის ინფორმირება იყო. პროგრამის წარდგინება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარბაზში ერთგული გვარდიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თვითკურმა, ვიცე-პოლკოვნიკმა გიორგი ჩუილაშვილმა მოაწყო. პრეზენტაციას მერის მოადგილე დავით ბახტაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ნურგა ჯამბურია, მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციული ერთეულებში და საკრებულოს წევრები დაესწრნენ.

ერთგული გვარდიის რეზერვის მობილიზაციის და რეკრუტირების სამმართველოს უფროსი, დავით აფციაური: “უკვე ერთი წელია, საბილოტე რევიმში მიმდინარეობს ტერიტორიული რეზერვის პროგრამა ორ რეგიონში. თელავში მოიცავს კახეთის რეგიონს და ბათუმში მოიცავს აჭარისა და გურიის რეგიონებს, იგეგმება მესამე, იმერეთის რეგიონიც ჩაერთოს და ჩვენს მოქალაქეებს შეეძლებათ, პატრიოტიზმის გამოვლენის პარალელურად, მცირე გასამრჯელოც მიიღონ.” ტერიტორიული რეზერვი მიიღებინ თბილისის, მცხეთის და იმერეთის რეგიონებში მცხოვრები 18-დან 50 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, 18-დან 22 წლის ჩათვლით სტუდენტები. ტერიტორიულ რეზერვში ჩარიცხულ მოქალაქეებს 5 წლიანი კონტრაქტი გაუფორმდებათ, რეზერვში ჩარიცხული რეზერვისტის მინიმალური ანა-

ზღაურება წლიური 2700 ლარია. მიღების პროცედურები სამხედრო-სამედიცინო შემოწმებას, ფიზიკურ-ფსიქოლოგიურ ტესტირებას და გასაუბრებას ითვალისწინებს. ტერიტორიულ რეზერვში მისაღები კონტინგენტის ოცი პროცენტი სტუდენტები იქნებიან, ხოლო სავალდებულო ან და საკონტრაქტო სამსახურგაყვანილი პირებიდან პრიორიტეტი ენიჭებათ: ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის სტატუსის ან სამხედრო და საბრძოლო გამოცდილების ან შესაბამისი სამხედრო საადრცხვო სპეციალობის მქონე პირებს. საბრძოლო მომზადება წლის განმავლობაში 45 დღეს ითვალისწინებს, რომელიც თანაბრად ნაწილდება 12 თვეზე. მონაწილეებს პირველივე შეხვედრაზე გადაეცემათ მთელი წლის კალენდარი და მათ შეეძლებათ, ისე დაგეგმონ სამოქალაქო ცხოვრების მთელი წელი, რომ ხელი არ შეეშალოს. რეზერვის მონაწილეს, რომელიც სოციალურად დაუცველია, უნარჩუნდება სოციალური დახმარება. თუ რეზერვისტად ყოფნის პერიოდში მოქალაქემ მიიღო ტრავმა, თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს მისი მკურნალობის ხარჯებს. თუ სტუდენტმა რეზერვის გავლის პერიოდში მიიღო უცხოეთიდან მიწვევა სწავლის გასაგრძელებლად, მას თავდაცვის სამინისტრო ხელს არ შეუშლის. თუ მოქალაქეს რეზერვში ყოფნის პერიოდში შეეძინა შვილი, ის 1000 ლარით დასაჩუქრდება.

სტუდენტს, გარდა იმისა, რომ სარეზერვო სამსახურის ერთი კონტრაქტის შემდეგ გავლილად ჩაეთვლება სავალდებულო სამხედრო სამსახური, ექნება ოფიცრის კურსებზე ჩარიცხვის უფლებაც. იმერეთის მხარეში ტერიტორიული რეზერვის მონაწილენი საბრძოლო მომზადებას კოპიტნარში გაივლიან. ტერიტორიულ რეზერვში მონაწილეობის უფლება მხოლოდ მამაკაცებს აქვთ, თავდაცვის სამინისტრო მუშაობს, რომ შესაბამისი ინფრასტრუქტურა განავითაროს, რათა ქალბატონებმაც შე-

ძლონ პროექტში მონაწილეობა. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, დავით ბახტაძემ მადლობა გადაუხადა პროექტის პრეზენტატორებს სასარგებლო შეხვედრის ორგანიზებისათვის და აღნიშნა, რომ ქვეყნისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია თავდაცვისუნარიანობის ამაღლება, ტერიტორიული რეზერვის პროექტი კი ამის მიღწევის საუკეთესო საშუალებაა და იგი ჩვენს ახალგაზრდებში ამაღლებს პატრიოტულ სულიკვეთებას. დავით ბახტაძე დაინტერესდა იმითაც, ეტაპობრივად მოხდება ანაზღაურება თუ ერთიანად? დავით აფციაურის თქმით, რეზერვისტებს თვეში ერთხელ დაეიცვებათ კუთვნილი ხელფასი, ასევე სტუდენტებს ეძლევათ სამხედრო ბარათები, სადაც დარიცხული თანხა შეუძლიათ მიაბან უნივერსიტეტის ანგარიშს და სწავლების გადასახადის დასაფარად მიმართონ.



ტერიტორიული რეზერვის მსურველების განცხადებების მიღება 1-ლ სექტემბრამდეა შესაძლებელი, რეზერვისტთა პირველი შეკრება 1-ლ ოქტომბერს გაიმართება. დავით აფციაურმა სთხოვა ადგილზე სამხედრო სამსახურის ხელმძღვანელ ზაქრო კაჭახიძეს ადგილობრივი კადრების მობილიზების შემთხვევაში დროულად მიაწოდოს ინფორმაცია. ამ რეზერვის იდეას მისხალმა საკრებულოს თავმჯდომარე ნურგა ჯამბურია და მადლობა გადაუხადა შეკრებილთ. სამტრედიის მუნიციპალიტ-



ეტის მერიის სამხედრო სამსახურის უფროსის, ზაქრო კაჭახიძის თქმით, თითქმის უკვე შეიქმნა კონტინგენტი, ლიდერობენ ქუთაისის, სამტრედიის და ხონის. ამ ეტაპზე სულ სამასი კაცია მისაღები. ზაქრო კაჭახიძემ ასევე აღნიშნა: “რეზერვი ნებაყოფლობითია, მასში მონაწილეობის მსურველები უნდა გამოცხადდნენ სამხედრო სამსახურში, მათ ჩვენ დაეკავალანებთ და გაუშვებთ მესამე ბრიგადის მისაღებში, საბუთების ჩამონათვალი გვაქვს. ძალიან კარგი პროგრამაა, უკვე იყო აჭარი-

სა და კახეთის რეზერვი, კარგი პირობებია, ხელფასს ღებულობენ, სტუდენტებისთვის განსაკუთრებულია, მოუწოდებ ყველას, ჩაერთონ და მიიღონ მონაწილეობა.”
შეხვედრაზე ასევე დაისვა კითხვები, რომელთაც უპასუხეს მეთექვრმე კადრირებული ბრიგადის რეზერვის და მობილიზაციის განყოფილების უფროსმა, მაიორმა ფრიდონ მახარაძემ და ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის წარმომადგენელმა, ვიცე-პოლკოვნიკმა, სერგო ნინუამ.

ედუარდ ახობაძე სამტრედიელ ვეტერანებს უხელმძღვანელებს

ამთიან ჩხელიძე

“საჭიროებიდან გამომდინარე ყველა მუნიციპალიტეტში გვინდა ჩვენი წარმომადგენელი გვყავდეს”. – განაცხადა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს უფროსმა, თავდაცვის სამინისტროს პოლკოვნიკმა გელა ცინცაძემ. იგი სამტრედიის ომის ვეტერან დავით ახობაძესა და ივანე ჯანჯღავასთან ერთად ჩამოვიდა. შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა.

გელა ცინცაძის განმარტებით, აქამდე ხონისა და სამტრედიის ვეტერანებს ივანე ჯანჯღავა ხელმძღვანელობდა. რადგან ქუთაისის შემდეგ იმერეთში სამტრედიის მერია, სადაც მესამე, 946 ვეტერანი ცხოვრობს, სასურველია, მათ თავიანთი წარმომადგენელი ჰყავდეთ.

მან ამ თანამდებობაზე ასევე ვეტერანი ედუარდ ახობაძე წარადგინა, რომელიც ყველაზე უკეთ იცნობს სამტრედიელი ვეტერანების საჭიროებებს, დაეხმარება მათ პრობლემების გადაწყვეტასა თუ დოკუმენ-

ტაციის მოწესრიგებაში. როგორც გელა ცინცაძემ განაცხადა, ვეტერანებს არა მარტო აუხანეთისა და სამაჩაბლოს ომის მონაწილენი, არამედ მარჩენალდაკარგულები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილენი, ე. წ. ჩერნობილელები, ომის მონაწილეებთან გათანაბრებულები და საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში დაინვალიდებულებიც მიეკუთვნებიან.

“ზოგადად, ამ სამსახურის შექმნას საქართველოში და მით უფრო სამტრედიის ოლქში დატვირთვა აქვს. ის, რომ მეორე ადგილზე ვართ ვეტერანების რაოდენობით, ჩვენი კარგი ცხოვრებით არ არის გამოწვეული. სამტრედიის ოლქის ეპიცენტრი იყო. ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ბევრი იბრძოდა სამაჩაბლოსა და აუხანეთში. მათ სჭირდებათ კოორდინაცია. ჩვენი მხრივ, ყოველნაირად უზრუნველვით მათთან, მაგრამ სხვა არის, როცა თავიანთი ხელმძღვანელი ყვოლებათ. ედუარდ ახობაძე ძალიან კარგად იცნობს ვეტერანთა პრობლემებს. მივესალმები მის დანიშნვას ამ თანამდებობაზე.

იგი ცნობილი პიროვნებაა ჩვენს მუნიციპალიტეტში თავისი წარსულით, წესიერებით, პატიოსნებით სავსე კაცია. ჩვენი მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა ექნება მას”. – აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ.

ვეტერანთა ხელმძღვანელის პოსტზე შერჩეულ კადრს იწონებს ბატონი ჯონი ნადირაძე: “ედუარდ ახობაძეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დასაწყისიდან, 80-იანი წლებიდან ყველაფერში აქვს მონაწილეობა მიღებული, ვეტერანების უმეტესობას იცნობს, იცის მათი მდგომარეობა და არ გაუჭირდება მათთან კომუნიკაცია”.

“ბოლო პერიოდში ვეტერანების მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ კვლავ ბევრია გასაკეთებელი. მათ საჭიროებას გავითვალისწინებ და დროულ რეაგირებას მოვახდენ, ყურადღებას არ მოვაღვებ”. – ამბობს ედუარდ ახობაძე.



სამი დედის სადღეობი

ლევან გაბაჩავა

ქართული მხარის სიმბოლო

ორი მიწა მიანდრძეს დასაცავად,
დედუღუღით მესიმზრება მე მამული...
სასიმღეროდ უტკბილესი ქართული მაქვს,
სალოცავად – სათაყვანო ებრაული!
დავობრძობა განშორების ცხელი ცრემლი,
იდუმალი ხმა მალაქოდ მეორდება: –
იქაც შენი საქართველოს სალოცავი
და სულმნათი შთას ღანდი გელოდება!
რა ვქნა, თუკი სისხლის ვივილს ვაყურადებ,
ვერც შენ გტოვებ, მეგობარო, მე ცოდვილი...
ისრაელი ჩემი დედასამშობლოა,
საქართველო – სულზე ტკბილი დედობილი!
მე ივერთა ჭირვარაში ჩემად მიხანს,
ჩვენი ძმობა ფიცვერცხლშია მოჭიქული,
სიონის და სინაგოგის მრევლთა შორის
მშვიდობა და შალთია მოციქული!
ორი ენა მომცა მამაშვიტყერმა,
ორთავე ღვთიურ საიდუმლოდ შერაცხული,
სასიმღეროდ უტკბილესი ქართული მაქვს,
სალოცავად – სათაყვანო ებრაული.

ამირან კალაში



ძნელად მოიძებნება დედამიწაზე ერთი, იმდენი ტანჯვა, წამება, დამცირება ვადატანოს, როგორც ებრაელობას. ამ უნიჭიერესი ხალხის თვისებებზე, მეგობრის გატანაზე, მოყვრისა და მტრის შეცნობის ნიჭზეც არაერთხელ დაწერია და თქმულა. ის ფაქტი, რომ მსოფლიოში ნობელიანტთა აბსოლუტური უმრავლესობა ებრაელი ან ებრაული წარმოშობისაა, თავისთავად ბევრის მოქმედი.

ვეტერანთა რაიონული კავშირის თავმჯდომარემ, აპოლონ ხაჭაძემ ამ დღეებში მისი მოადგილე ავთანდილ კაშია, აგრეთვე, ტარიელ თვალავაძე, ბაჩუკი ფახურიძე და ამ სტრუქტურის ავტორი ოჯახში მიგვიწვია, სადაც საოცრად თბილი და მეგობრული ატმოსფერო სუფევდა.

ოჯახის მეგობარი, სკოლის ამხანაგი ბორის მეგრელიშვილი მეწვია ისრაელიდან მეუღლითურთ, გვიტანა ოჯახის თავკაცმა და სტუმრები გაგვაცნო. "სამტრედიამში, სოფელ კულაშში დავიბადე. კულაშის მკურნალის სახელობის სკოლა დავამთავრე. დღესაც მასსოვს ყოფილი პედაგოგები: ლილი მელქაძე, ეთერ მჭავანაძე, თამარ ნინუა, ვახტანგ გაგუა, კაკო ხუჭუა და სხვები. სკოლის დირექტორი, ჯერ კარლო ძნელაძე, შემდეგ კი კაკო ჯაბუაძე გახლდნენ. ისრაელიდან რომ ვიყავი ერთხელ ჩამოსული, აკაკი ჯაბუაძის შევხვდი. ჩვენს სინარულს საზღვარი არ ჰქონდა. სამი შვილის, ცხრა შვილიშვილისა და

ორი შვილიშვილის მამა და ბაბუა ვარ. მიუხედავად იმისა, რომ 48 წელია, ისრაელში ქალაქ ორიუდაში ვცხოვრობ, ქართული ტრადიციები, კულტურა, ზნე-ჩვეულებები არ დამეწყვიტა. შვილები და შვილიშვილები ჩინებულად საუბრობენ ქართულად. ვიდრე ცოცხალი ვარ, საქართველოსა და ქართველების დამფასებელი ვიქნები. რაც რამ კარგია ჩემში, საქართველოს ვუმაღლი". – გვიტანა ბატონმა ბორისმა.

ჩვენთან ოჯახში ქართულ კერძებს ვამზადებთ. საქართველოდან რომ გვსტუმრობენ, ტრადიციულად ხაჭაპურით, ლობიანით, საცხაოთ ვუმასპინძლებით, – გვეუბნება ბატონი ბორისი მეუღლე, ქალბატონი თინა.

სუფრას ბატონი ტარიელ თვალავაძე უძღვებოდა. ჯერი მშობლების სად-



ღვრამელოზე მიდგა. სამი დედის სადღეობი წარმოიქვა ბატონმა ბორისმა და განმარტა, ერთი დედაჩემია, მეორე საქართველო და მესამე ისრაელი. შევიტყვეთ, რომ ბატონი ბორისი სამტრედიასა და კულაშში ყველასათვის ნაცნ-

ობი და საყვარელი კაცის, აბრაჟა მეგრელიშვილის, შვილი ბრძანებულა.

13 წლის წინ 88 წლისა გარდაიცვალა მამა. ოჯახში მისეული ორი აზიური გარმონია. ორი საუკუნისა თითოეული, – დასძინა ბატონმა ბორისმა. მართალია, მაგდა სამხიარული იყო, თუმცა უცრემლოდ არ ჩაუვლია. ბატონი ბორისისა და ქალბატონი თინას გარდაცვლილი შვილიშვილი იყო ცრემლის საბაბი, რომელიც სამხედრო მოსამსახურე გახლდათ.

სკოლის დასრულების საიუბილეო თარიღი უნდა აღგვენიშნა. აპოლონმა ამ საუბრისთან დაკავშირებით დამირეკა, ჩემს ოჯახში დატრიალებული უბედურების შესახებ ვუთხარი. ტელეფონში მევეთრად გავიგონე, თუ რა ყვირილი და ტირილი იყო ამ ამბის გაგონებაზე ხაყ-

ალიების ოჯახსა და სამეზობლოში, – ცრემლმორეული გვიყვება ბატონი ბორისი. შენიშნეთ, ხელზე გარდაცვლილი შვილიშვილის სახელი "ავი" რომ ამოუსვირინებდა. ნუტავ, სასწაული მოახდინა, ის წამოაყენა და ჩვენ მის ადგ-

მიძინება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა

გაბრიელ მთავარანგელოზმა ახარა მარადქალწულ მარიამს მისი ამქვეყნიური არსებობის დასასრული.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს არ მოელოდა მოკვდავთა ხვედრი. იგი მამინვე უნდა დაქვიდრებულიყო ღმერთთან ახლოს, როგორც ეს ნაწინასწარმეტყველები იყო, მას უნდა მიეძინა.

ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ ღვთისმშობლისა წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახლში ცხოვრობდა. მან გამოსამშვიდობებლად მოუწოდა მაცხოვრის მოწაფე-მოციქულთ. ყველანი ეახლნენ, თომას გარდა, რომელიც იმხანად შორეულ ქვეყნებში ქადაგებდა ახალ აღთქმას.

მოციქულებმა იხილეს ნეტარი მიძინება მარადქალწულისა. ქრისტემ ანგელოზთა მიერ ზეცად აღიტაცა მისი სული.

მოციქულებმა გეთსამანიის ბაღში განუსვენეს მარიამის სხეული. მესამე დღეს იერუსალიმს დაბრუნდა თომა, რომელმაც მოინდომა სამარეში თავი ეცა ღვთისმშობლისათვის.

გახსენეს აკლამა და ნახეს, რომ იქ მხოლოდ სამოსელი დარჩენილიყო, დედა ღვთისა ზეცად ამაღლებულიყო.

28 აგვისტოს (ახალი სტილით) აღნიშნავს ეკლესია ღვთისმშობლის მიძინებას.

ამ დღეს მოქმედ ტაძრებში ტრადიციულად შესაბამისი ღვთისმსახურება აღევლინება.

ლევან გაბაჩავა



ილზე გამყოფაო, – გვიტანს ქალბატონმა თინამ და ბატონმა ბორისმა. სუფრასთან შევიტყვეთ, რომ არა მარტო მშობლები, მათი შვილები და შვილიშვილებიც მეგობრობენ. მეგრელიშვილები ისე არ ჩამოვლენ სამტრედიამში, აპოლონ ხაჭაძის ოჯახი არ მოინახულონ. ეს სტუმრობა კი ამ საოცარი მეგობრობის ერთი ჩვეულებრივი გაგრძელებაა.

ჯერი ბატონი აპოლონზე მიდგა. ისიც დაუსრულებელი საუბრობდა ისრაელში მეგრელიშვილების ოჯახში გატარებულ დაუვიწყარ დროსა და არანახული სტუმარმასპინძლობის შესახებ. ჩემი შვილის ოჯახი ახლაც იქ იმყოფებაო, – დასძინა აპოლონ ხაჭაძემ.

საათზე ოდნავ მეტი დაფავით მაგიდასთან, თვალნათლივ ვხედავდით ორი ოჯახის საოცრად მეგობრულ, ნათესაურ ურთიერთობებს და გონებაში ხშირად ერთობ ფავლავსული, თუმცა საოცარი სიბრძნის შემცველი სიტყვები: "მეგობრობითა და მეგობრებით ვართ ძლიერნი".

სტუმრები თქვენა ხართ, აქ ვინც დაგვდით, ყველანი მასპინძლები ვართო, – გვიტანს ჩვენმა ებრაელმა მეგობრებმა და ჭიჭრამდე გამოვაცვილეს.

სამახსოვრო ფოტოებზე აღიბეჭდა ჩვენთვის მოულოდნელი, ბატონი აპოლონ ხაჭაძის მიერ წინასწარ დაგეგმილი ეს დაუვიწყარი შეხვედრა.

საყრდენი რეალობა – სამცხრე-ჯავახეთის ბუჩქი კაცად შეჯავრის მთავრობამ 100 000 კრანით დააფინანსა

6064 ნახტავში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოინოზიისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენელი კურსდამთავრებული ბექა კაცაძე სწავლას მიმდინარე წლის 2 სექტემბრიდან უფსაღის უნივერსიტეტში მდგრადი მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე გააგრძელებს.

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების განაცხადი ბექამ ევროპის ოთხ უნივერსიტეტში გააკეთა, მანამდე, რა თქმა უნდა, იყო გამოცდები კონკურსში მონაწილეობის უფლების მისაღებად. თანხმობა ოთხივე მათგანისგან მიიღო. ბელგიის, ბრიტანეთისა და შვედეთის უნივერსიტეტებიდან ბექამ უპირა-

ტესობა შედეგით, კერძოდ, უფსაღის უნივერსიტეტს მიანიჭა, რის გამოც შედეგით მთავრობამ ერთწლიანი სამაგისტრო კურსი სრულად, 100 000 კრანით, დაუფინანსა. იგი ერთი წლის განმავლობაში უფსაღის უნივერსიტეტიდან "ვისბის" სტიპენდიასაც მიიღებს.

ბექამ 5 წლის წინ სამტრედიის მესამე საჯარო სკოლა ოქროს მედლით დაამთავრა და 100%-იანი გრანტით სწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო. ბოლო კურსზე გაცვლითი პროგრამით ლატვიაში, რიგის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა. რიგიდან დაბრუნების შემდეგ წარმატებით გაიარა მმართველობითი საკონსულტაციო კომპანიის, შპს "სინერჯი ჯგუფის", მიერ გამოცხადებული კონკურსი და თავდაპირველად ანალიტიკოსის, შემდეგ თანამშრომლის და ბოლოს სტრატეგიული განვითარების მენეჯერის პოზიციაზე დაინიშნა.

ბექას მონაწილეობა აქვს მიღებული 20-მდე ორგანიზაციის სისტემური განვითარების პროექტში. ძირითად კომპეტენციებს აკრძობდა ორგანიზაციების სისტემური დიაგნოსტიკის, სტრატეგიული დაგეგმარების, დანიშნულებისა და ხედვის ჩამოყალიბების კუთხით, ასევე ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარებისა და თანამშრომლების სამოტივაციო სისტემების შექმნისა და დანერგვის მიმართულებით. აქტიურად იყო ჩართული პორტფელური კომპანიების სტრატეგიული განვითარებისა და მენეჯერული ამოცანების გადაჭრის პროცესებში.

დაახლოებით ერთი წლის წინ ჩვენს გაზეთთან საუბრისას ბექამ სურვილი გამოთქვა, მაგისტრატურა ევროპის რომელიმე უნივერსიტეტში დაემთავრებინა. ეს სურვილი მას რეალობად ექცა. ვუსურვოთ წარმატება ბექას იმ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე, რომელსაც პროფესიული ცოდნის კიდევ უფრო ამაღლება ჰქვია.



აბიტურიენტები ყველაზე მაღალი ქულით

ნათია ნაცვლიძე

“სამტრედიის მაცნე”-ის სამტრედიელი ახალგაზრდები შეკრიბა, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებზე ამა თუ იმ საგანში ყველაზე მაღალი ქულა მიიღეს. ისინი საამაყონი არიან, ყველა მათგანმა მოსწავლე ვერ შეძლო, მაგრამ მათმა მეგობრებმა მათ შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მოგვარწოდეს. ვერ არ გამოვლენილან ის აბიტურიენტები, რომლებმაც საქართველოს მასშტაბით უმაღლესი დაფინანსება მოიპოვეს, “სამტრედიის მაცნე” არც წლებულს დაარღვევს ტრადიციას და აუცილებლად შეგახვედრებთ ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იმ ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებმაც ასპროცენტაინი დაფინანსება მოიპოვეს. შესაძლოა, მათ შორის ჩვენი რესპონდენტებიც იყვნენ.

მამ ასე, გაიცანით ვიორგი სულაქველიძე, მე-12 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, რომელმაც მათემატიკაში მაქსიმალური 59 ქულიდან 57 ქულა აიღო და ბრწყინვალე შედეგი აჩვენა. ამით მან სკოლის პედაგოგი ელენე ხუჭუა ასახელა. ინგლისურის პედაგოგმა, რუსუდან კალიანმა იხუმრა, ვიორგი ინგლისურის მეცადინეობის დროსაც იმდენად იყო შთაბეჭდილი მათემატიკით, რომ ყველა ესეს სამკუთხედებსა და ოთხკუთხედებს ანატავდა. ვიორგიმ მეორე მასწავლებელი, მურთაზ კალაძე ასახელა, ზოგად უნარებში 80 ქულიდან 69 აიღო. – “კომპიუტერული მეცნიერებების ფაკულტეტზე ვაბარებ, მაღლობა

მინდა ვუთხრა ჩემს პედაგოგებს, ასეთი შედეგი რომ მაქვს.” – გვეუბნება ვიორგი.

სამტრედიამ პირველად მოხდა, რომ უცხო ენებში დაფიქსირდა 80-დან 80 ქულა! და ამჟამად ეს ბრწყინვალე გონები მესამე საჯარო სკოლის კურსდამთავრებული ანანო არველაძე და მეოთხე საჯარო სკოლის კურსდამთავრებული მაია კონდრაშოვა არიან. ანანომ ინგლისურ ენაში, ხოლო მაიამ – რუსულში აჩვენა მაქსიმალური შედეგი!

მაია კონდრაშოვა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აბარებს. როგორც მან გვითხრა, გამოცდართული არ ეჩვენა, გაცილებით რთულ ტესტებზე მეცადინეობის დროს უშუშავია. – “მადლობას ვუხდებ ჩემს პედაგოგებს, გალინა ზოლოტოვასა და შორენა ოგანესიანს”. – განაცხადა მაიამ ჩვენთან საუბარში.

ანანო არველაძე “სამტრედიის მაცნეს” მეთხველებს ახლახან წარუდგინეთ, როგორც “ფლექსის” პროგრამის გამარჯვებული და ამერიკიდან შესაბამისი დიპლომით დაბრუნებული, ამჯერად ანანოს კიდევ ერთ წარმატებაზე გვიწვევს საუბარი, მან ინგლისურ ენაში 80-დან 80 ქულა აიღო! – “წლებადელი ტესტები იგივე სირთულისა იყო, რაც წინა წლისა. მადლობა მინდა ვუთხრა მესამე სკოლის ინგლისურის პედაგოგებს, თამარ კრავიშვილსა და ჯულიეტა სიხარულიძეს.” – გვეუბნება ანანო.

ეთუნა კაცაძე კერძო სკოლა “ცოდნის” კურსდამთავრებულია, მან ფიზიკაში უმაღლესი 75-დან 51 ქულა აიღო, ხოლო, უნარებში 80-დან 69 ქულა. მას მოსდევს შედეგით ნინო კვეტენაძე, მეოთხე საჯარო სკოლის, რომელმაც უნარებში 68 ქულა აიღო. “ფიზიკა რთული მქნენა, მაღალი შედეგია, თუმცა, თვითმკაფიფილი მაინც არ ვარ, მაღლობა მინდა გადავუხადო პედაგოგ მზია კირთაძეს, რომელთანაც მოვემზადე”. – გვითხრა ეთუნამ.

ია ვამყამაძე მესამე სკოლაში, ქიმიამა მაქსიმუმი ქულაა 75. მან 68 ქულა აიღო. “ქიმიის სიყვარული პედაგოგ ნინო ონიანის დამსახურებაა, ძალიან მიყვარს ეს პედაგოგი, მისი მოსწავლე ასევე ანი თევზაძე, რომელმაც დაამთავრა მეთერთმეტე სკოლა და რომელმაც ასევე მიიღო 68 ქულა ქიმიამში. ვფიქრობ, ამ გამოცდაზე ვერ ვაჩვენე ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი, უმარტივეს საკითხებზე ჯეროვანი ყურადღება არ გავამახვილე, თუმცა, ურიგო შედეგი არ მიმიღია.” – გვითხრა იამ. სკოლა “ცოდნის” კურსდამთავრებულმა, ნანა ნიქოლეიშვილმა კი, ქართულ ენასა და ლიტერატურაში უმაღლესი 70-დან 65 ქულა აიღო, პედაგოგი, ვერიკო ნიკურაძე. მას მოსდევს შედეგით მეთერთმეტე სკოლის კურსდამთავრებული, აკაკი ნინუა, რომელმაც 63 ქულა აიღო. “ის ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტზე, ფინანსების განხრით აბარებს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში. – “ქართულში ყველაზე რთულად მხატვრული ტექსტის ანალიზი მქნენებოდა, 30-დან 28 ქულა ავიღე, რასაც არ ველოდი, არგუმენტირებულ ესეში 24-დან 23 ქულა, უღრმესი მადლობა ნინო ტონიას, მეზუთე კლასიდან ჩემმა დამრიგებელმა ხათუნა გაბედავამ შემიქმნა მყარი საფუძველი, რაზეც ნინო ტონიამ არჩევულებრივი, განსხვავებული ხედა მომცა, თუ აქამდე ლიტერატურას ვხედავდი, როგორც საამოვნებას, ახლა საკითხავს უკვე მეცნიერული თვალთ ვუყურებ და აღვიქვამ სხვაგვარად.” – გვეუბნება აკაკი.

სამოქალაქო განათლებაში უმაღლესი ქულა არის 60, ხოლო, სამტრედიამ ყველაზე მაღალი, 53 წლებულს აიღო მეათე საჯარო სკოლის მოსწავლემ, თომა ჩხაიძემ. ის მადლობას უხდის მეათე სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგს, ეკა ფიცხვერიას. ისტორიაში მეთერთმეტე სკოლის კურსდამთავრებულმა, მარიამ ბიბილიაშვილ-



მა მაქსიმალური 70-დან ყველაზე მაღალი, 60 ქულა აიღო. ბიოლოგიაში ყველაზე მაღალი ქულა მერვე სკოლის კურსდამთავრებულ მარიამ ამაღლობელს აქვს, მან უმაღლესი 70-დან 58 ქულა აიღო. გეოგრაფიაში მაქსიმალური ქულაა 60, მეთერთმეტე სკოლის კურსდამთავრებულმა, სანდრო თავაძემ ყველაზე მაღალი, 52 ქულა აიღო, (პედაგოგი ივანე მახარაძე).

სამტრედიელი მოსწავლეები რობოტაქონიკის ბანაკში

სამტრედიის მუნიციპალიტეტიდან 9 საჯარო სკოლის 12 მოსწავლე ქუთაისში, კადეტთა კორპუსში რობოტექნიკის ბანაკში დასასვენებლად გაემგზავრა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ეს ბანაკი ბავშვებს შესანიშნავი ერთგვიანი დასვენებას სთავაზობს. სამტრედიელი ბავშვები საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტმა, ელზა ცხვირაშვილიძემ გააცილა. “სამტრედიის მაცნესთან” საუბარში მან აღნიშნა, რომ განსაკუთრებული ტექნიკური ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვები სკოლებში პედაგოგებმა შეარჩიეს. ბავშვები, გარდა იმისა, რომ ამ სფეროში ცოდნას და გამოცდილებას შეიძენენ, დაუახლოვდებიან ნიჭიერ თანატოლებს.

ბანაკის შესახებ დადებითი შეფასება გამოთქვა სოფელ კორმალის საჯარო სკოლის დირექტორმა, მზია ზაქარაძემ. მან ბანაკში სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე, რევაზ ნიკოლეიშვილი გააცილა.

საბა შუბლაძე მეშვიდე საჯარო სკოლის მეათეკლასელია, ლუკა შენგელია კი მეათე საჯარო სკოლის მეათეკლასელი, მათ ერთმანეთი გამგზავრების დღეს გაიცნეს. ბიჭები დარწმუნებულნი არიან, რომ ბანაკში საუკეთესო მეგობრებს შეიძენენ და წინ შთამბეჭდავი დღეები ელით. ბიჭებთან ერთად გოგონებიც არიან, მათ შორის, იანეთის საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე ნინო კობრიძეც.

რობოტექნიკაში გაკვეთილებს მოსწავლეებს რობოტექნიკის ბანაკის ტრენერ-ინსტრუქტორი, სამტრედიის ინტელექტულების კაპიტანი, ვიორგი ჩაჩუა ჩაუტარებს. მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა:

“ბანაკში დაფერვით ინოვაციური მიდგომით სწავლება, “სწავლა კეთებით”, ბანაკის მონაწილეებს ვაცნობთ ელექტრონიკის საფუძვლებს პრაქტიკული მუშაობით, ბავშვები აგრეთვე ქმნიან პროექტებს პროგრამირებადი დაფების ARDUNO-ს დახმარებით. პროექტის შემდეგი დღე ეთმობა მაღალი დონის რობოტების ვაცნობას და მათ მართვას, ხოლო ბანაკის ბოლო დღეს გვაქვს რობოტების ძალიან სახალისო შეჯიბრი, მონაწილეები აქტიურად არიან ჩართულნი და დიდი ინტერესით ასრულებენ პრაქტიკულ პროექტებს.

ნათია ნაცვლიძე



იდეების ბენეფატორი ღვაწლმოსილი კვლავობია

სახელი – მადონა, გვარი – თარგამაძე-ლორია, რეგიონი – იმერეთი, მუნიციპალიტეტი – სამტრედი, სკოლა – ქალაქ სამტრედიის №1 საჯარო სკოლა, საგანი – ქართული ენა და ლიტერატურა, სტატუსი – უფროსი მასწავლებელი, პოზიცია – მასწავლებელი, სამუშაო გამოცდილება – 42 წელი.

ასე შეივსო ანეკტა ღვაწლმოსილი პედაგოგის შესახებ, რომელიც სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა სივლითა და სამკერდე ნიშნით “დამსახურებული პედაგოგი” დააჯილდოვა.

მადონა თარგამაძე-ლორია მუნიციპალიტეტის მრავალ ღირსეულ პედაგოგთა შორის თავისი გამორჩეული მონაცემებით შეირჩა.

ქალბატონ მადონას №1 საჯარო სკოლის დირექტორი ხათუნა ფალიაძე ასე ახასიათებს: “მადონა ლორია არის ინოვაციური მასწავლებელი. მუდამ სახეა იდეებით, ნერვავს სახალეებს. აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სახის პროექტებში. მისი მოსწავლეები იმარჯვებენ სხვადასხვა კონფერენციასა და პროექტებში. იგი მუდამ უანგაროდ ემსახურება მოსწავლეებს, ახორციელებს საწერო მუშაობას, მუშაობს არაფორმალური განათლების მიმართულებითაც. როდესაც საჭირო გახდა, წარგვედგინა სკოლიდან პედაგოგი, მთელმა კოლექტივმა ერთხმად დაასახელა მადონა თარგამაძე-ლორია, რადგან ის ნამდვილად არის მასწავლებელი, რომელიც არის იდეების გენერატორი და რომლის იდეების განხორციელებასაც სკოლა ყოველთვის მიჰყავს წარმატებამდე და აღიარებამდე.”

ნათია ნაცვლიძე



ქართული ჟურნალი

პარლამენტის წევრების, ზაზა გაბუნიასა და მარიამ ჯაშის საკანონმდებლო ინიციატივას, სკოლებში “დედაენის” სწავლების შესახებ, გარდა ამისა მთავრობის მიერ ადაპტირებული სახელმძღვანელოთა პრეზენტაცია მოხდა. ჯერჯერობით “დედაენის” ახალი ვერსია არაფერს უნახავს, თუმცა კამათი, ისწავლებოდეს თუ არა 1912 წელს გამოცემული გოგებაშვილისეული სახელმძღვანელო, აქტიურად მიმდინარეობს.

ბუღაგოვების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ “დედაენა” ყოველთვის ისწავლებოდა სკოლებში და “არსად წასულა”. მეტიც, პოლიტიკურად მოტივირებული ადამიანების ერთი ნაწილი მოხლოებული არჩევნებისთვის ქულების მოგროვების მკდელობად უთვლის ხელისუფლებას ამ გადაწყვეტილებას. ან პირიქით, სახელმწიფომ საზოგადოების დაკვივება შეასრულა.

იაკობ გოგებაშვილის “დედაენა” პირველად 1888 წელს გამოვიდა, მაგრამ არა ამ სახელწოდებით. მხოლოდ 1876 წელს ეწოდა მას “დედა ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო სკოლებისთვის”. მას შემდეგ კი-ჯერ გამოცემა წიგნი ავტორმა, ხეივანა და სრულქმნიდა. ამასთან იტყობოდა, “რადგან სპეციალისტები მაინც თითქმის არ მოიპოვებნენ ჩვენ ხალხურ სკოლებში, ანბანი ამ მეთოდით მოგვეწოდებინა საადგილის უკანასკნელ ხარისხამდის”. “ანალიტიკურ-სინტეტიკური მეთოდზე” შექმნილი სახელმძღვანელო იაკობ გოგებაშვილის დიდი შრომისა და

იმ დროის ევროპული საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მოსაზრებების ცოდნისა და შეჯერების შედეგია. როგორც თვითონ აღნიშნავდა, მეთოდი, რომელიც მან გამოიყენა, ზოლოტოვის იყო და არა მისი.

არაფერს ვთქვამთ გოგებაშვილის დამსახურებასა და “დედაენის” უნაკლოდობაზე. მან პირველმა მიხეცა ქართველებს წიგნი და შესაძლებლობა, წერა-კითხვას დაუფლებოდნენ. დღეს სპეციალისტების მსჯელობის საგანი “დედაენის” იმ ანალოგიით შეტანა სკოლებში, რომელიც საბოლოოდ 1912 წელს გამოცემა ავტორმა. განათლების სამინისტროსთან შექმნილი კომპეტენტურ ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ნოუანსურად განიხილა ცხელი სადავო საკითხს. ზოგისთვის 1912 წლის “დედაენით” სწავლება საუკუნით უკან დახვება, ზოგისთვის – აუცილებლობა, რადგან ის ჩვენი ეროვნული იდენტულობაა, საგანძური. მიზანია,

თანამედროვე ბავშვების გონებრივ შესაძლებლობებსა და ასაკობრივ ფსიქოლოგიურ განწყობას მიუხადავთ ადაპტირებული სახელმძღვანელო. გოგებაშვილის მიხედვით შექმნილი არაერთი “დედაენას” მიუღია აქამდე ვარიანტი და სასწავლო სახელმძღვანელოდ შესულა სკოლებში. როგორც პროფესორი ვიორჯი გოგოლაშვილი განმარტავს: “დედაენას მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის სტატუსი. ძეგლის სტატუსი მიენიჭა ანბანის სწავლების გოგებაშვილის მეთოდს. ასე რომ, ამ მეთოდში ანბანის თანმიმდევრობის, საანბანო სიტყვების შეცვლა არ შეიძლება”.


6067 ტონა, წმინდა ნახარი ლეშაგას სახელობის მარტვილისკენ მიმავალი სარკის ამდგომი: “სახელმძღვანელოს მიზანშეწონილობას, ისწავლებოდეს თუ არა სკოლაში ამ წიგნით, ადგენს საგანგებო კომისია, რომელიც არსებობს სამინისტროში. წიგნის ახალ ვერსიას, გარდა სპეციალისტებისა, ფილოლოგებისა, შეიმუშავებენ ფსიქოლოგები, მოწვეული მოქმედი პრაქტიკოსი მასწავლებლები. სახელმძღვანელო უნდა უპასუხებდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყოველ პუნქტსა და მოთხოვნას, რომლებიც, თავის მხრივ, გამოდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტადან. ეს დოკუმენტი განათლების შესახებ კანონს ეყრდნობა, რომელიც საქართველოს ძირითადი კანონის, კონსტიტუციის მიხედვითაა შედგენილი. ეს უნივერსული ძეგლი – “დედაენა”, რომელსაც კულტურული ღირებულების სტატუსი აქვს მინიჭებული, როგორც ჩანს, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსაც ითვალისწინებს. საგანმანათლებლო სისტემამ განაახლა სახელმძღვანელოს აქტიურად გამოყენების უფლებამოსილება. გარდა ამისა, ეს არის ალტერნატიული სახელმძღვანელო და არ არის ერთადერთი და სავალდებულო. ვისაც სურს, მხოლოდ ის ისწავლის.

ადაპტირებული სახელმძღვანელო იქნება არჩევითი, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ “დედაენა”, რომელიც მოქმედი სახელმძღვანელო იყო წლები-სა და საუკუნის განმავლობაში, მო-

იცავდა ისეთ ურთულეს მასალას, რომ ჩვენი ახლანდელი, განვითარებული, 21-ე საუკუნის 6 წლის ბავშვი გაჭირვებით აღიქვამდა. “იანანას” ტექსტიც არ ესმის ბავშვს, მაგრამ უმღერან, “ვეფხისტყაოსნის” ტექსტიც არ ესმის, მაგრამ საბავშვო ბაღშიც ვასწავლით შერჩეულ სტროფებს და ვაჩვენებთ ტექსტს. არც ის ფილმები ესმით ბოლომდე, მიუცხოვრებდას რომ მოიცავს, მაგრამ ადაპტირებულად მაინც ვაწვდით. მასწავლებლის ფუნქცია სწორედ ის არის, რომ აუხსნას რთული სიტყვა და გაათავითვინებოთ მოსწავლე ეროვნულ ლექსიკაში. გარდა ამისა, რა არის იქ ისეთი სირთულე, რომელსაც მოსწავლე ვერ დაძლევეს და ასეთი ბარიერი ექნება!

კლასიკა ყველა დროის თანამედროვეობაა და მას ყავლი არასოდეს გაუდის. “აი ია” არის გენიალური მიგნება, უმარტივესი, მხოლოდ ხმოვნია-ნი მარცვლით შედგენილი, არ არსებობს მსოფლიოში, უნივერსული მოვლენადაა აქტიური და შეფასებული. მართალია, იაკობ გოგებაშვილმა ის-არაგებლა მაშინდელი, ძირითადად, რუსული სახელმძღვანელოებით, მაგრამ ბევრი თქმა, მოთხრობა გადმოაქართულა, მთავარი ქართულ სინამდვილეს, ეროვნულ ხასიათს, მშობლიური ენის ფონემატურ, ფონოლოგიურ სისტემას, გრაფიკულ თავისებურებებს, ქართული ენის ბუნებას, არც დაუმაღავს. მეთოდი თუ მისი არ არის, “დედაენა” ხომ მისია. “აი თითი”, “თუთა”, “თითა” მო-

“დედაენა” ბრუნდება



თუმცა ამის მკდელობა ზოგიერთ გამოცემაში არსებობს და სასკოლო პროგრამაშიც რეალიზდება.

ერთიც, ადაპტირებული სახელმძღვანელოს სკოლებში შეტანის დაანონსებამ ფართო მსჯელობის საგნად აქცია აქამდე არსებული “დედაენის” სხვა ვერსიებიც, რომლებიც დღეს წერა-კითხვას სწავლობენ ბავშვები. ადაპტირებული სახელმძღვანელოც არჩევითია, თუ არა იგი ყველა პირველკლასელს დაურიგდება სარეკლამო.

ახალი სასწავლო რესურსის შესახებ თავიანთი მოსაზრებების გაზიარება ჩვენ სამტრედიელ ბუღაგოვებს ვთხოვეთ.

ბიან ამ ძეგლებს და აღმოჩნდება, რომ არავითარი სირთულე არ არის. მაგრამ ეს დამოკიდებულია მათსავე უნარზე, შესაძლებლობასა და, რაც მთავარია, კეთილ ნებაზე. რომ იცოდეს, რომ არ არის სასარგებლო, ჯერ ამას შესწავლა სჭირდება, ექსპერტისა სჭირდება, გამოცდა. ავტორთა ჯგუფი და სარედაქციო კოლეგია მზადაა მიიღოს ყველა კონკრეტული შენიშვნა.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი უნდა იყოს რაციონალურად გადახედული და შეთანხმებული, კონსტრუქციულად, საქმიანად დანახული, რომ არა ისე აპრიორულად ყველაფერი ძველი ხელსაღები, უარსაყოფია და ყველაფერი ახალი მისაღება. გენიალურს ქმნის ძველისა და ახლის სინთეზი.

მასწავლებელს შეუძლია აირჩიოს სახელმძღვანელო, რადგან ვერტიკალური მართვის სისტემები მოიხსნა ძირითადად და დემოკრატიული სისტემა, როცა ხალხის აზრი და სურვილი გათვალისწინებულია. თუნდაც ამ საკითხზე ჩვენ იმიტომ ვმსჯელობთ, რომ მშობლების დამოკიდებულებაც ასეთი იყო.

მასწავლებელს შეეძლება თავისი ნება-სურვილით ზოგიერთი პარაგრაფის შეცვლა. ჩვენ ისედაც გვაქვს სკოლაში ზოგიერთი თემის შენაცვლების უფლება და საშუალება. მე რომ ამ წიგნით სკოლაში შევალ, შემიძლია პარაგრაფი შევანაცვლო, ბავშვისთვის, კლასისთვის ინდივიდუალური მოთხოვნითა და მისი საჭიროების მიხედვით, მისი გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შევანაცვლო თემა, ოღონდ ეროვნული სასწავლო გეგმის ინდივიდუალური განსაზღვრულ მიზანს მაქსიმალურად უნდა მივუახლოვდეთ. იქ გამიზნულია მომავალი მოქალაქის ჩამოყალიბება, მისი იერსახე, როგორი იქნება საზოგადოების წევრი, ჩვენი მუშაობის პროდუქტი, როდესაც ის დამთავრებს სასკოლო საქმიანობას.

თვითონ სიტყვაც “აი” კოლხურია, იქიდან შესული უნდა იყოს ბერძნულში “იონ”. სიტყვა “იონი” აქედან არის, რაც იისფერს ნიშნავს. “ვილა”, “ფილაკა” რუსულში “იის” ფონეტიკური ვერსიებია. “აი” ქრისტიანობაში კატაფატეგურ, არეობაგეტულ წარმოსახვებში გააზრებულია, როგორც მაცხოვრის სახე. წარმოიდგინეთ მაცხოვარი ჯვარზე გავრული, ყვლობდრებული ლურჯი ფერი და შუაში ოქროსფერი. ეს იის სიმბოლური განსახიერებაა. სხვათა შორის, ერთი ცნობილი ლექსი – “ვარდს გაუფურჩხა კოკორი, გადახვეოდა იასა” – ღვთისმშობლის სახეს-

თან ასოცირდება. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ გვაქვს უნივერსული ფრაზა “იანანა, ვარდოვ, ნანა!” შეიძლება, ვინმემ დღის ეს სიმღერაც მოძველებულად ჩათვალოს. იაკობ გოგებაშვილი ძალიან ბევრს მუშაობდა მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. ეს მისი ძალიან დიდი აზროვნების, შრომის, ხანგრძლივი ინტელექტუალური მოღვაწეობის, ბავშვზე ფიქრის შედეგია. გამორიცხვა, შეჯერება, თუნდაც თარგმნა-მორგება, გადმოქართულება, ნიშნავს მის მალაღ ღირებულებას.

მისი შრომები, სამხრეთის მ-11 საჯარო სკოლის პედაგოგი:

“დედაენა” უცხოური და ნაწილობრივ ნაკლებად ქართული მიმართულებაა. მაღალი სირთულით გამორჩევა და ვფიქრობ, რომ ათვისების და შედეგების თვალსაზრისითაც განსხვავებულია.

მე არ ვემხრობი იმ მოსაზრებას, რომ თითქოს განახლება და გადახლისება არ უნდა მოხდეს, თუმცა ყველა სახლეს გააჩნია ნეგატიური და პოზიტიური მხარე.

ერთი სიტყვით, თუ დღის წესრიგში დგება “დედაენის” “ფორმატის” ცვლილება, ჩემი აზრით, აუცილებელი გახდება გარკვეული კორექტირების შეტანა, მათ შორის ი. გოგებაშვილის “დედაენის” “ფორმატში”. და ეს პროცესი არ უნდა იყოს დროში შეზღუდული. უამრავი ქართველოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, ენათმეცნიერი და სხვა ტიპის ინსტიტუტები უნდა იყვნენ მუდმივად ჩართულნი ამ პროცესში. რაღაც მუდმივმოქმედი კომისიის სახე და ფორმა უნდა მიეცეს ამ სახლის ფორმატს. სწორედ ეს კომისია უნდა გახდეს ამ პროცესის ფლაგმანი.

ერთი სიტყვით, ყველა ნოვაციის მომხრე ვარ, რაც კომპლექსური თაობებს კიდევ უფრო გახსნილს, უფრო განათლებულსა და უფრო ქართულს გახდის”.

ქართველ პედაგოგთა, სამხრეთის 1-ლი საჯარო სკოლის პედაგოგი: “გოგებაშვილის “დედაენა”, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი დაწვებითი კლასებისათვის თავისი უნივერსული პედაგოგიური მეთოდით. მას საფუძვლად უდევს მაღალი დიდაქტიკურ-მეთოდოლოგიური პრინციპები და გამსჭვალულია ხალხურების სულიერებით. “დედაენაზე” დაზრდილია თაობები და მან საქართველოს ნაციონალური იდენტობის შენარჩუნების საქმეში მნიშვნელოვანი ფუნქცია შეასრულა. მიუხედავად ამ ყველაფრი-

სა, მე არა ვარ უარყოფითად განწყობილი ი. გოგებაშვილის საფუძველსა და პრინციპებზე შექმნილი სახელმძღვანელოების მიმართ. მასში შენარჩუნებულია გოგებაშვილის მიგნებები, ასევე სასიამოვნოა, როცა გათვალისწინებულია თანამედროვე ბავშვების გარემოც, თითო ჯერზე თითო სიახლე, ანალიზისა და სინთეზის შერწყმა კითხვის სწავლებისას, ეს ყველაფერი ძალიან კარგია, თუმცა, მე პირადად მიხილდა სიცარიელის გრძობა, როდესაც სახელმძღვანელოში ვერ ვხვდები ისეთ სახასიათო და ნაცნობ მოთხრობებს, რომლებიც კიდევ უფრო გაამდიდრებდა სახელმძღვანელოს”.

ლავროს თანხაში, სამბრაძის მ-3 საჯარო სკოლის კლასობა:

“საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ახალი სასწავლო წლიდან პირველკლასელებს იაკობ გოგებაშვილის “დედაენა” ადაპტირებული სახით, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, სანუკრად გადაეცემა. წიგნი, რომელიც პირველად 1876 წელს გამოიცა და რომელმაც უამრავი თაობა აღზარდა, მართლაც რომ, ეროვნული საგანძურია და ჩვენგან დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს. ბგერითი ანალოზურ-სინთეზური მეთოდი, რომელსაც იაკობი წერა-კითხვის შესასწავლად იყენებს, დღესაც უკავია და ავტორების უძრავი მემკვიდრეა ამ მეთოდს მიმართავს. ვერ ვიტყვი, რომ იაკობი მთლიანად ამოღებული და დაკარგული იყო ქართული სკოლებიდან. სახელმძღვანელოებში, რომლებმაც გრიფირება გაიარა და დღეს სკოლებში არის, გვხვდება მოთხრობები იაკობის “დედაენიდანაც”, რა თქმა უნდა, ადაპტირებული სახით. ადაპტირება კი აუცილებელია, რამდენადაც სამეცნიერო ენა, რომელსაც იაკობი იყენებს, თანამედროვე ბავშვებისათვის ძნელად გასაგები ან საერთოდ გაუგებარია. მასში ხშირად გვხვდება ის სიტყვები, რომლებიც თანამედროვე მეტყველებამო საერთოდ არ გამოიყენება, ან გამოიყენება უფრო გამართლებული ფორმით. გარდა ამისა, არ მეგულება დაწყებითი კლასების პედაგოგი, რომელსაც იაკობ გოგებაშვილის “დედაენა” არ ჰქონდეს და მას არ აცნობდეს მოსწავლეებს. დღევანდელი პედაგოგი თავისუფალია თავის არჩევანში, მას არაფერ ზღუდავს, გამოიყენოს დამხმარე ესა თუ ის წიგნი. ადვილად, ჩვენ, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, იაკობის “დედაენას” ყოველთვის ვიყენებდით და გამოვიყენებთ შემდგომშიც. მისასაღამებელია ის ფაქტი, რომ თუკი იაკობის “დედაენაზე” აქამდე მხოლოდ პედაგოგებს მიუწვდებოდათ ხელი, მთავრობის გადაწყვეტილებით ამის შესაძლებლობა ახლა უკვე მოსწავლეებსაც ექნებათ და მოსწავლეების დახმარებით მათ მშობლებსაც. ეს ძალიან კარგი და დასაფასებელია. ამით მოსწავლეებს კიდევ ერთხელ გაუღრმავებთ სიყვარულსა და პატივისცემას ქვეყნის ისტორიისა და კულტურის მიმართ”.

ნათელა ჯიბოვლიძე, სამბრაძის მ-2 საჯარო სკოლის კლასობა:

“იყო დრო, როდესაც ბავშვი ქართული ასო-ბგერების შესწავლას “ვეფხისტყაოსნით” იწყებდა. შემდეგ კი ღმერთმა იაკობი მოგვივლინა, რომელმაც შექმნა ეს უძვირფასესი და შეუცვლელი წიგნი “დედაენა”. საქართველოში ხომ “ვეფხისტყაოსანს” და “დედაენას” უხდიან იუბილეს! შეიძლება, “დედაენას” უხეშად შევეხოთ და ქართული წიგნის საგანძურადან ამოვავლოთ?! იმ წიგნის, რომელიც ბრწყინვალე პედაგოგმა და დიდებულმა ქართველმა

უნახესი და ულამაზესი პაწაწინა ყვავილით, იით დაიწყო? მართებულად არ მიმაჩნია, ასო-ბგერების გადაბმით წერას რომ აღარ ვასწავლით ბავშვებს. ვახტანგ მეფის დროსაც კი ცდილობდნენ, ულამაზესი ფორმა მიეცათ ასო-ბგერებისათვის. ჩვენ კი ვცდილობთ გავამარტივოთ, გავაუბრალოთ ის, რაც ჩვენთვის ძვირფასია და დიდებული. არ არსებობს მსოფლიოში ენა, რომლის შესატყვისი სიტყვა არ იყოს ქართულში.

რატომ უნდა ეწეროს პირველკლასელების წიგნი “დედაენა ჩვენი სახლია”, თანაც 4 ენაზე?! ჩვენი სახლი, სადაც ყველაზე ლაღად და თავისუფლად ვგრძობთ თავს, ჩვენი სამშობლოა, ჩვენი მამული, ჩვენი საქართველო. თავად იაკობ გოგებაშვილი ამბობდა: ბავშვს ათი წლის ასაკამდე არ უნდა შეესწავლით უცხო ენა. ჩვენ კი პირველი კლასიდან ვიწყებთ უცხო ენის შესწავლას. ჩვენ ამით რაღაცის მიღწევა გვინდა, რაღაცას ვეპოტინებით და, ალბათ, უფრო მეტს მივალწევთ, თუ შევცვლით “დედაენას”. ი. გოგებაშვილი ამბობდა: “დედაენა მაშინ მოკვდება, როდესაც მისი გაუმჯობესება დასრულდება”.

მინდა, ცოტა რამ ვთქვა, ალბათ, შედარებით ცოტათი გაუმჯობესებულ წიგნზე. თუ შევადარებთ 1912, 1915, 1919 წლებში გამოცემულ “დედაენას” იმ წიგნს, რომლითაც მე ვასწავლიდი ბავშვებს, რა თქმა უნდა, გათანამედროვეებულია. ეს არის არა “დედაენა”, არამედ “მშობლიური ენა”. ძველ წიგნებთან შედარებით ახალ წიგნში 16 ასო-ბგერა ისწავლება სხვა სიტყვებით და არა იმ სიტყვებით, რომლებითაც ისწავლებოდა ძველად. მაგალითად: ამოღებულია სიტყვა “კამეჩი”, ჩასმულია “ჩიჩორი”. “კალია” შეცვალა “ლოკოინამ”, “ვაჟი” – “ჟონგლორმა”, “წიწილა” – “დედამეწა”. რატომ ჩავსვით “დედამეწა”, თუკი “დედაენა” არ გვინდა! ამოღებულია სიტყვა “ლორი”, ჩასმულია “გოჭი”. თუ არ გვინდა სიტყვა “ურემი”, რადგან დღეს არ არსებობს, რა დაამავა სიტყვებმა: “მერცხალი”, “კაკაკაჭი”, “ქითამი”, “ტოროლა”, “წიწილა”, “ბუდე”. ამ სიტყვებით ხომ უფრო ხალისით და ადვილად ისწავლიან ბავშვები წერა-კითხვას, ვიდრე სიტყვებით: “ჟონგლორმა”, “ხარდახმა”, “კოლი”, “საბურავი”, “ბეჭემოთი”, “ჯამბაზი”. ან შეიძლება ამოვიღოთ სიტყვა “აკვანი”, რომელთანაც დაკავშირებულია სიტყვები “ბავშვი”, “ჩვილი”, “დედა”, “აივნანა”?!.

წიგნში შეტანილია 5-6-7-მარცვლიანი სიტყვები. მაგალითად: “უშვენიერესია”, “ეკველუცებიან”, “დასუნსულენენ”, “დამაფიქრებელია”, რომელთა წაკითხვა შედარებით რთულია.

წიგნი სიმსუბუქისათვის გაყოფილია ორ ნაწილად, რათა ბავშვმა მისი ტარება შეძლოს. მაგრამ ეს უფრო ჟურნალია და არა წიგნი! ე. წ. წიგნი გაფორმებულია ნაძერწი ილუსტრაციებით, რომლებიც უფრო სიცხლის მომგვრელია ან შესამინებელი. ბავშვებს, რომლებსაც შეიძლება არც ლომი ჰყავდეთ ნახანხი, არც სირაქლემა, არც მელაია, არც ბუ, არც თხა ამ ნაძერწებით აღიქვამენ იმ სინამდვილეს, რაზეც ვესაუბრებით და ვასწავლით. ან ყვავილი ია შეიძლება იყოს ოთხფურცლიანი?

წიგნი “დედაენა” უნდა იყოს ერთი და არა ბევრი. ალბათ, შეჯიბრია გამოცემლობებს შორის, რომელი უფრო მეტ წიგნს გაყიდის. დაუჯეროთ იმ მასწავლებლებს, რომლებიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში არიან პატარებთან, მათ სულში წვლილი შეუძლიათ, ყველაფერს აკეთებენ, ჩვენი სისხლხორცეული ქართული, მშობლიური “დედაენა” რომ შესწავლონ”.

“მისაც ლიტერატურა უყვარს”

“წინც რაი ბრძოლას არ იცნობს, პურიკო, წაიკითხოს”

ნათელა ჯიბოვლიძე

თემურ გერაძე მეორე საჯარო სკოლის მეტირთმეტკლასიელია, განგებისაგან იუბორის ნიჭით უხვად დაჯილდოებული. ის არაერთი ახალგაზრდული კონკურსის გამარჯვებულია. წარმატებული და წინიერი ახალგაზრდა რედაქციაში საყვარელი წიგნებსა და ნაწარმოებებზე სასაუბროდ გვეწვია.

– წიგნთან ყოველდღიური შეხება არ მაქვს, მაგრამ ისე არ ვაგა თვე, რომ ორი წიგნი მაინც საფუძვლიანად არ წაივითხო. ყოველთვის ვცდილობ, მაქსიმალურად გამოვიყენო უქმე დღეები და წიგნი ვივითხო.

– ირჩევ თუ არა მეგობრებს ნაკითხობის და წიგნიერების კრიტერიუმით?

– ნაწილობრივ, ალბათ, კი, რადგან ჩემს ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით ჩემს მეგობრებს.

– არ გიჭირს მათი წვლილის აღიარება?

– არა, პირიქით, ძალიან მიხარია, როცა ჩემს ირგვლივ განათლებული ადამიანები არიან, ასეთები ძალიან სჭირდება ჩვენს ერს.

– დაგვისახელო შენივეს პატივისცემის და საყვარელი წიგნები, ავტორები...

– არ არსებობს წიგნი, რომლისგანაც რაიმეს არ ისწავლი, თუმცა დეტექტივი ჩემთვის ერთ-ერთი საყვარელი ჟანრია. რა თქმა უნდა, ართურ კონან დოილი ამ ჟანრში პირველია. ასევე მომწონს აგათა კრისტის ისეთი დეტექტიური ნაწარმოებები, სადაც მთავარი გამოძიებელი არის ერიუდ პუარო და მისი საუკეთესო წიგნი, ჩემი აზრით, არის “შველელობა აღმოსავლეთის ექსპრესში”, აუცილებლად უნდა ვახსენო მარია პიუზოს “ნათლია”, მისი ეკრანიზაცია ერთ-ერთი საუკეთესოა, თუმცა, მივიჩნევ, წიგნი ბევრად უკეთესია. თუმცა, უპირველესი წიგნი ჩემთვის არის “ვეფხისტყაოსანი”, რადგან ამ წიგნიდან აბსოლუტურად ყველაფერს სწავლობ, სწავლობ ცხოვრებას, იმას, როგორ უნდა იყოს ნამდვილი მეგობრობა, მიჯაჭრობა, როგორ მოიტყუო ჭირში და ა.შ.

წიგნმა აუცილებლად უნდა ჩაგოთროს, კითხვის პროცესი არ უნდა შენელებს, მიყვარს წიგნი, სადაც მისი დიდი ნაწილი რეალურ ფაქტებს ეყრდნობა. ამის ჩინებულ მაგალითია ჩემი ერთ-ერთი საყვარელი წიგნი “ჯინსების თაობა”. დათო ტურნოვილი ერთ-ერთი პროგრესული მწერალია და ისეთი, როგორც ახალგაზრდებს ძალიან გეჭირდება. ჩემს ერთ-ერთ ნაკლებ იმას მივიჩნევ, რომ თანამედროვე ქართველ მწერლებს ნაკლებად ვიცნობ, მაგრამ ამ დანაკლისს აუცილებლად შევასებ...

– ბეგონა ანთი, ხდება ღირებულებათა დეკლავაცია, როგორ ფიქრობ, არის ამაში სიმართლე?

– არა, ჩემი აზრით არა, სიახლეების ძალიან მოყვარული ვარ, თუ ქვეყანაც მიიღებს სიახლეებს, ძალიან კარგია! ყველა ძველი ტრადიციის მოშლა და დავიწყება არ შეიძლება, მაგრამ, არის რამდენიმე ისეთი, რაც მიძველდა. მაგ., ქელეხის ტრადიცია, ეს ერთ-ერთი ცუდია, რამდენიმე წლის წინ “ბიბისი” გააკეთა რეპორტაჟი, აჩვენა, თუ როგორი იყო ქართველების ქცევა საფლავებზე. არ მომწონს ასევე ნეფე-პატარძლის მიერ თეფშის გატეხვა. აუკაც ამბობდა: “რაც მამა-პაპამ შემოგვინახა, რატომ უნდა დაგამსხვრიოთო...”

– შენ ლექსებს წერ, ბეჭდავ ჩვენს გაზეთშიც... რას ნიშნავს პოეზია შენთვის?

– თავისუფლებას, რომლის მორევშიც თუ გადავუშვი, მერე იქიდან ამოსვლა ძალიან რთულია, შეიძლება, არც ამოხვიდე არასდროს! გალაკტიონი ჩემთვის გენიაა, მისი მოჭრილი ფრაზები მხიბლავს. “ალიო მირცხულავას ერთ-ერთ საღამოზე უთქვამს: “ლექსის ვეფხვი და გრიგალი მე ვარ და გალაკტიონიო.” გალაკტიონის უთქვამს, ერთი ასო შეცვალე ძამიო და მართალი იქნებიო და თავად ასე შეუცვლია ბუბბერანს: “ლექსის ვეფხვი



და გრიგალი მოვარდა გალაკტიონი!” გალაკტიონი ძალიან გულჩათხრობილი ადამიანი იყო! რთული ისტორიის მქონე ადამიანები, გენიოსები, რომელთაც შეცვალეს კაცობრიობა, საუკუნეში ერთხელ იბადებიან. “მთა, ილია აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი,” ბრძანა და ლექსის ბოლოს სამი წერტილი დასვა... აუკაც მიყვარს ძალიან მისი იუმორით, ხშირად ვკითხულობ მის ნაკვეთებს. აუკაცის ერთმა კრიტიკოსმა ურჩია, ამ ლექსების წერას შეეშვი, ანდა ერთი ტაბის ლექსი წერე მარტო, აუკაც მიუფო: “მართალი ხართ, ვერ შეგეადგებოთ, მზად ვარ პირველი თქვენი გემსახურიო.” თურმე ის კრიტიკოსი აუკაცის საფლავის ქვაზე ეპიტაფიების წერას ურჩევდა.

– ახალი თაობის პოეტებზე რას იტყვია?

– თემურ ელიავა მომწონს, თანამედროვე შეხედულებები აქვს, თუ როგორ უნდა იყოს თანამედროვე სიყვარული. ჩემთვის საყვარელი ლექსია “ღმერთთან საუბარი”, რომელიც დაგვაიქიერებს, რომ ოდესღაც ჩვენც მივალთ და წარვსდგებით უფლის სამსჯავროსთან.

– დიდი ბიბლიოთეკა გაქვს?

– არა და ამტომ ძალიან ხშირი სტუმარი ვარ ჩვენი ბიბლიოთეკის, სადაც უამრავი კარგი და თანამედროვე წიგნია. ძალიან კარგი თანამშრომლები ჰყავს და კარგად გვემსახურებიან.

– წიგნი, რომლის შთაბეჭდილების ქვეშაც დიდხანს ყოფილხარ...

– რეი ბრედბერის “451 ფარენგეითი.” ეს წიგნი ამერიკის კონტინენტზე დაიწერა და მისი მთავარი იდეაა, თუ როგორი იქნებოდა კაცობრიობა წიგნის გარეშე. ამ ნაწარმოებში მეხანძრეობა ჯგუფი წიგნების დაწვას ემსახურება, გამოჩნდება ერთი მეხანძრე, რომელიც შემთხვევით ერთ წიგნს გადაშლის და წაიკითხავს ფრაზას, რომლის შემდეგაც ამბობს, რომ

ხელი აუკანკალდა და გული აუბგერდა, გაუჩნდება სურვილი, რომ ამ ქალაქში, სადაც წიგნის კითხვა აკრძალულია, წაიკითხოს ჩუმად ბევრი წიგნი. მთავარი მეხანძრე ძალიან განათლებული და წინიერი და ეუბნება: “რა საჭიროა წიგნი, ვინ იცის, ვინ გახდება წინიერი ადამიანის მსხვერპლი, წიგნი გავს დატენილ თოფს, იარაღს, დაწვით წიგნი და დატოვით იარაღი ტყვიის გარეშე!” ეს მაღალორგანიზებული მომავლის ქალაქია, მაგრამ ქალაქი, სადაც წიგნის კითხვა არ შეიძლება, არსებობს ისე დაასრულებს, როგორც ამ ქალაქმა დაასრულა! დაიბოძა ქალაქი და ავტორმა გადაარჩინა ის პერსონაჟი. რომელსაც გაუჩნდა წიგნის წაკითხვის სურვილი. რეი ბრედბერს, ამერიკელ მწერალს ჩემი თაობა კარგად იცნობს და ვინც არ იცნობს, უურჩევ გაეცნოს.

– სკოლის ინტელექტუალთა გუნდის გამორჩეული წევრი ხარ, ყველაზე კარგად რა სახის კითხვებს სცემ პასუხს?

– კითხვებს, რომლებსაც სჭირდება ლოგიკური აზროვნება... ასევე მაქვს უნარი, კარგად ამოვარჩიო სწორი ვერსია რამდენიმე პასუხს შორის.

– თანამედროვე უცხოელი მწერლებიდან ხომ არ დაგვისახელებს კიდევ რომელიმეს?

– მომწონს ჯორჯ ორუელის “ცხოველების ფერმა”, ამ ნაწარმოებით მწერალმა სილა გააწნა საბჭოთა ხელისუფლებას, წაიკითხე მაქვს “პატოკა კატალიონას”, ნელ-ნელა ვეცნობი 1984-ს.

– წაიკითხე წიგნების შესახებ აზრებს ვის უზიარებ?

– აზრებს ვუცვლი ორ მეგობარს: საბა ართქელაძეს და ირაკლი გრიგოლიას, ირაკლი ჩემზე 10 წლით უფროსია, მან შემეყვარა წიგნი, სპორტი, ფეხბურთი და კინო. ვხვდავდი და ვაკვირდებოდი, როგორი ემოციები ჰქონდა სახეზე წიგნის კითხვისას, ჰნი იცინოდა, ხან ცრემლი მოდიოდა, მას ბავშვობიდან თვალს ვადევნებდი. ჩემი გემოვნების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა, ამ ადამიანთან თავისუფლად შეიძლება აზრების გაცვლა. არის ძალიან კარგი პოეტი და ამანაც იქონია გავლენა, რომ მეც შემიყვარდა ლექსის წერა. შეიძლება ძალიან კარგი ლექსებს ვერ ვწერ, მაგრამ, ჩემს ლექსებში ჩემი სულიერი სამყარო და შინაგანი ხედვა იგრძნობა. ასევე მინდა ვახსენო ჩემი დამრიგებელი, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ლია კილაძე, რომელიც ყოველთვის ძალიან კომუნიკაბელურია და მუდამ გვაფრთხილებს, ვივითხოთ, რაც შეიძლება ბევრი, რადგან წიგნში ნამდვილი ხსნა. როცა ასეთი პედაგოგი გყავს, ადამიანს სწავლა არასოდეს გუბრდება.

– შენი რომელიმე ლექსით დავასრულოთ ინტერვიუ.

– “როცა ვკარგავდი ყველაზე მთავარს,

როცა ცოდვებში ვიძირებოდი, როცა ამ ქვეყნად არავის მწამდა და არც არავის ვებრალებოდი, მე შენი თავი მაჩუქა ღმერთმა, არ მიმატოვა იმ ერთადერთმა, კვლავ დამიბრუნდა რწმენა, იმედო,

ეკლესიამდე ცრემლით მივედი და როგორც დედას, ვანდე ფიქრები, ერთსა გთხოვ მხოლოდ, ნუ მიმატოვებ და მუდამ შენი შეილი ვიქნები”.

როცა მიზანი პროფესიული დაოსტატებაა

ქეთევან ჭიჭინაძე

“მასწავლებლის კარიერული წინსვლა მოითხოვს სიახლეებს, უწყვეტ განათლებას, სწავლა-სწავლებას, კრეატიულობის დაგროვებას, სქემში ჩართვას, რაც ძალიან რთულია, თუმცა დაძლეადი და სწორედ ამიტომ არის ჩემთვის მიზნადმიმართული”. – ასეთია ახალგაზრდა პედაგოგის პოზიცია. ყურადღებით უსმენ და მასში იმ პატარა, უღამაზეს ირინა ჩიქოვანს ხედავ, წლების წინ სკოლის ეზოში თავის დეიდაშვილ ზვიად ბუაჩისთან ერთად ხელჩაიკიდებული თითქმის ყოველდღე რომ ვხვდებოდა.

მინდოდა, ირინას შესახებ მეითხველისთვისაც მომეხსენო, რადგან იგი წარმატებული, მისაბაძი და საამაყო, რომელსაც ძალიან უყვარს სამტრედია და თავისუფალ დროს გამოიხატავს თუ არა, აქეთ მოიქცა.

“აქ მყავს საყვარელი ოჯახი, საყვარელი ადამიანები, მასწავლებლები, მეგობრები, რომლებთანაც მუდმივი კომუნიკაცია მაქვს”. – თავის დამოკიდებულებას გამოხატავს იგი. ბავშვობის სურვილი რეალობად

მის მიზანს პროფესიული დაოსტატება შეადგენდა. ცოდნის გაღრმავების მიზნით საგნის გამოცდა ისევ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჩააბარა. გაიარა მასწავლებლის გადამზადების ერთწლიანი პროგრამა, რომლის დამთავრებისთანავე მუშაობა სკოლა “ოლიმპში” დაიწყო, ამასთან, მიწვეული იქნა საგანმანათლებლო ცენტრ “რენომში”, სადაც მასწავლებლებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის უცხო ენაში ამზადებდა. ცოტა ხნის წინ ირინა ჩიქოვანმა მოწვევა ევროპული სკოლიდან მიიღო, საჩვენებელი გაკვეთილი ჩაატარა. მომავალი სასწავლო წლიდან ის პედაგოგიურ საქმიანობას ამ სკოლაში გააგრძელებს. “ოლიმპში” გატარებულ წლებს კი, როგორც თვითონ ამბობს, ვერასდ

ესია ნიშნავს არა დირექტივას, იმპერატივს, ბრძანებას, არამედ რჩევას, დახმარებას. მასწავლებელი არის ფასილიტატორი, ანუ მრჩეველი. აქვე ჯონ კოტონ დანას სიტყვები მინდა მოვიშველიო: “თუ ბედზე სწავლებას, თავდაც არასოდეს შეწყვეტო სწავლა”. ჩემი აზრით, მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, ბავშვს არ მოახვიოს რაღაც მოძველებული იდეოლოგია, მოძველებული მეთოდები. უნდა ეცადოს

მიუხედავად ინგლისური ენის სიყვარულისა, უცხო ენის პედაგოგი მართებულად არ თვლის უცხო სიტყვების ქართულში დამკვიდრებას. მიაჩნია, რომ ენამ თავისი ფუნქცია

ობს, მათ დაემკვიდროს. მშობლები – ნინო მესხი და დავით ჩიქოვანი – პროფესიით ეკონომისტები არიან. ირინას ბებია-ბაბუებსაც არ სჭირდება განსაკუთრებული წარდგენა სამტრედიელისათვის: დალი გიორგაძე პედაგოგია, ირინა დევიძე – ექიმი, გულგოსი, პედაგოგი, ავთანდილ ჩიქოვანი – ეკონომისტი. ირინა ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს მათ რჩევებს ითვალისწინებს. ერთი დღეც კი არ არის, მათ არ შეეხმიანოს. ჩემი ოჯახის გავლენა ჩემზე ძალიან დიდია. ჩემზე ზრუნავს როგორც ერთი, ისე მეორე მხარე. მათ გარეშე არაფერი გამომივიდოდა.

სიყვარულით საუბრობს ირინა პედაგოგ ნინო ტონიაზე: “ჩემი პროფესიული წინსვლის ყოველ ეტაპზე ჩემს გვერდით არის. სტიმულს მძლევს, მამხნევებს და მენარჩუნებს”. ნინო სტურუა, ლია ნიკურაძე, ცირა კრავიშვილი, გიორგი მახარაძე, ნატო ჯამბურია – ის მასწავლებლები არიან, ვის მიმართაც იგი ასევე გა-



აქცია. ყოველთვის იცოდა, მასწავლებელი გახდებოდა. ვერცხლის მედლით დაამთავრა სამტრედიის მე-3 საჯარო სკოლა. ჰუმანიტარული საგნებისადმი მიდრეკილების მიუხედავად, მათემატიკასაც კარგად სწავლობდა. განსაკუთრებით მაინც ინგლისური ენა შეიყვარა, რისთვისაც პედაგოგ ნინო სტურუას ემადლიერება. სწორედ ქალბატონი ნინოს დამსახურებაა, პროფესიული არჩევანი უცხო ენებზე გაეკეთებინა. მისაღები გამოცდები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა და ინგლისურ ფილოლოგიაში ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიიღო. სწავლა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში გააგრძელა და მაგისტრის აკადემიური ხარისხიც მოიპოვა. 2013 წელს თბილისში საკუთარი უცხო ენის მოსამზადებელი “Lingua Center-ი” შექმნა, სადაც დღემდე ამზადებს ინგლისურში ბავშვებს. პარალელურად მუშაობდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში. მალე თვითონვე დატოვა სამსახური, რადგან

როს დაივიწყებს: “არაჩვეულებრივი, ჩემთვის მისაბაძი კოლეგია. ძალიან ძვირფასები არიან. მათთან მუშაობამ და ურთიერთობამ ბევრი რამ შემიძინა”. მისთვის ყველაზე დიდი გამოწვევა დოქტორანტურაში ჩაბარებაა. “ვმუშაობ სტატიაზე, სადაც ინგლისურის სწავლების ორ მეთოდს ვადარებ ერთმანეთს. ეს არის გრამატიკის მთარგმნელობითი მეთოდი და კომუნიკაციური დიდაქტიკა, რაც აბსოლუტური რეკოლუციაა ერთმანეთის წინააღმდეგ. მალე გამოვაქვეყნებ ამ სტატიას და დოქტორანტურაში ჩავირიცხებ”. – სამომავლო გეგმებზე გვიყვება ირინა. ევროპულ სკოლაში უცხოელ ბავშვებს ასწავლის. დარწმუნებულია, ამით ის უდიდეს გამოცდილებას შეიძენს. სურვილი – ამ სკოლაში დაეწყო მუშაობა, ჯერ კიდევ მაშინ გაუჩნდა, როცა აქ პრაქტიკაზე იმყოფებოდა. მიაჩნია, რომ სკოლაში ყველა პირობა შექმნილი, რაც მასწავლებლის განვითარებისთვის არის აუცილებელი. “ჩემთვის მასწავლებლის პროფ-

მის თავისუფალ განვითარებას”. – ასეთია ახალგაზრდა პედაგოგის პოზიცია. ერთი იდეალური მეთოდი, რომელიც ყველანაირი ინფორმაცია მიეწოდება ბავშვს, იცის, რომ არ არსებობს. რომ უნიკალური ვარიანტი მეთოდების შერწყმა, მაგრამ მაინც მიიჩნევს, რომ სწავლება, რომელიც ინტელექტუალური მეთოდს ეყრდნობა, გამართლებულია. “თუ წინააღმდეგობა დედუქციური იყო, ჯერ ვიზუალიზაციით ვსესებ და აქედან გამომდინარე ვადგენდი წინადადებას, ტექსტებს, ამჟამად ვცდილობთ, მოსწავლეს წესები არ დაეხვედრიონ. თამაშების, სხვადასხვა აქტივობის საშუალებით შევასწავლოთ ენა. არის ჯგუფური საშუალებებიც. ჯერ ვაძლევთ წინადადებას, რომლებსაც შემდეგ ვერძნობა წესები. შეცდომები არ ივრძობა ამ მეთოდში. სამიზნე ენა არის უცხო ენა და ივრძობა მშობლიური ენის გამოყენება. მაქსიმალურად ვცდილობთ, ბავშვს შევუქმნათ თავისუფალი გარემო, რათა ალაპარაკდეს”. – გვიხსნის ჩემი რესპონდენტი.

არ უნდა დაკარგოს, რომ ქართულში უცხოურის შესატყვისი უამრავი სიტყვა გვაქვს და უნდა გამოვიყენოთ. არც საზღვარგარეთ სწავლასა და ცხოვრებაზე ოცნებობს. ჩემი ქვეყანა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანიაო, – გვარწმუნებს. სამტრედია კი მისთვის ყველაზე ძვირფასი ადგილია.

ამბობს, რომ მკაცრი მასწავლებელია, მაგრამ თავის მოსწავლეებთან მეგობრობს კიდევ, რაც აუცილებელიც კი არის.

ირინა მიზანდასახული ახალგაზრდა, ყოველთვის აღწევს იმას, რაც უნდა. სიბუჯით ბავშვობიდან დაჰყვა. სკოლიდან შინ დაბრუნებული ჯერ გაკვეთილებს თუ არ მოვამზადებდი, ვერ ვითამაშებდი და გავერთობოდიო. ყოველთვის ბევრს შრომობდა და ასეა ახლაც. “ჩემთვის დღე და ღამე არ არსებობდა. სულ ესწავლობდი. დამით, მაქსიმუმ, ორი საათი მეძინა. ცხოვრების გზაზე შემხედნენ ისეთი მასწავლებლები, ლექტორები, თანამშრომლები, ხელმძღვანელები, რომლებიც ამ ყველაფერს ხედავდნენ. ეამაყება, რომ სხვისი დახმარების გარეშე მიადგინა, რაც დღემდე შექმნა. თუმცა, მისი ოჯახის წევრები ყოველთვის მის გვერდით იდგნენ, პირობას უქმნიდნენ საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. ირინასთვის ეტალონია თავისი ოჯახი. შრომისმოყვარე ადამიანები არიანო, გვეუბნება და ცდილ-

ნსაკუთრებულ პატივისცემას გამოიხატავს. დამსახურებას არ უკარგავს მუსიკის პედაგოგ მარინა ახობაძეს. ფორტეპიანოზე დაკვრა მან შეასწავლა და წარმატებაც ბევრჯერ მოიპოვა. დაუეციყვარა მისთვის, სამტრედიაში ვაჟა აზარაშვილის შემოქმედებით საღამოზე თავის მასწავლებელთან ერთად კომპოზიტორის ნაწარმოების შესრულების შემდეგ ავტორის მოწონება რომ დაიმსახურა.

ინტელექტუალი, განათლებული, მაძიებელი ახალგაზრდის ყოველი დღე მუშაობით იწყება და მუშაობითვე მთავრდება. როგორც გვითხრა, თავისუფალი დრო თითქმის არ აქვს, თუმცა მეგობრებთან, საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობა საიმოვნებას ანიჭებს. გულწრფელია და მართალი. ტყუილის თქმას ვერც სხვას აპატიებს. ერთგულადაა მისთვის უმთავრესია და ახლობლებისგანაც იმავეს მოითხოვს. სიხარულით აუხებს სხვების დახმარებას. როგორც მასწავლებელს, მიზანი აქვს საკუთარი ცოდნა თავის მოსწავლეებს გაუზიაროს, დაეხმაროს. მათი ანთებული სახეები რაიმე მასალის გაგებისას ჩემი მოტივაციააო, – დასძენს.

თავისი თაობის შრომისმოყვარეობის სჯერა და დარწმუნებულია, თუ წინააღმდეგობებს დაძლევენ და არ დანებდებიან, სასურველ შედეგს ყოველთვის მიადგენ. ამის მაგალითი მისი ცხოვრებაა.

“არ არის სამართალი? – არ იქნება მშვიდობა!”

6060 ნაწილაკი

2011 წელს დაამთავრა სამტრედიის მე-2 საჯარო სკოლა წარჩინებით. იმავე წელს სწავლა გააგრძელა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის ბაკალავრიატი დაამთავრა 2015 წელს. იმავე წელს სწავლა გააგრძელა მაგისტრატურის საფეხურზე, რომელიც 2017 წელს დაასრულა ასევე წარჩინებით. ხოლო 2017 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.

რაც შეეხება პროფესიულ საქმიანობას, თორნიკე ართქელაძე 2015 წელს 8 თვის განმავლობაში სტაჟირება გაიარა აღსრულების ეროვნულ ბიუროში გადახდისუნარიობის საქმის წარმოების სამსახურში, რის შემდეგაც, 2016 წლიდან, თავის კურსელთან, ალექსანდრე ციციციძესთან ერთად დააფუძნა საადვოკატო ბიურო სახელწოდებით “T & A Law” და მას შემდეგ საადვოკატო მომსახურებას უწევს მრავალ კერძო პირსა თუ კომპანიას. იურიდიულ ფირმას აქვს ვებგვერდიც – www.legist.ge; ასევე, 2016 წლიდან არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული მმართველობის მოწვეული ტრენერი, ხოლო 2019 წლიდან კი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. თორნიკეს მშობლები დედანა მამალაძე და კობა ართქელაძე სამტრედიისში

ცხოვრობენ.

თორნიკე ართქელაძე ჩვენი ყურადღება მას შემდეგ მიექცია, რაც რამდენიმე ტელევიზიის პირდაპირ ეთერში სხვადასხვა საკითხზე მისი პოზიცია მოვისმინეთ და ვადაფიქსეთ, ჩვენც ვაგვსაუბრობოდათ მას.

– პირველი საკითხი, ეს არის სასამართლო სისტემა, რომელზეც გვსურს ვისაუბროთ. რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს სასამართლო?

– დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცედურები, რომლებიც საკმაოდ გახსნილი და ღია იყო, საზოგადოებას საშუალება ჰქონდა, თავად თვალყური ედევნებინა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კანდიდატთა გასაუბრებისათვის. მიუხედავად პროცესის გახსნილობისა, მიმდინარეობს მანც არის მთელი რიგი გამოწვევები, რომლებიც ამ პროცესს მაინც აქვს. კერძოდ, აშკარა იყო, რომ რამდენიმე კანდიდატს ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი, რაც მთლიანად პროცესის სანდობას აყენებდა ჩრდილს, რაც, რა თქმა უნდა, სამწუხაროა. იმედი გვაქვს, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ნამდვილად ღირსეულ კადრებს წარუდგენს პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატებად.

– რა მთავარი გამოწვევები დგას დღეს სასამართლო სისტემის წინაშე?

– ზოგადად, ჩვენი მართლმსაჯულების სისტემა უმარავი გამოწვევის წინაშე დგას, ზოგი ობიექტური მიზეზებითაა გამოწვეული, ზოგი კი სუბიექტური მიზეზებით. როდესაც ვსაუბრობ მართლმსაჯულების სისტემაზე, აქ არ ვგულისხმობ მხოლოდ სასამართლოს, თუმცა ის, რასაკვირველია, საკითხის ცენტრშია. ჩემი აზრით, ძირეული რეფორმებია საჭირო პროკურატურაში, კერძოდ, პროკურატურა უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც იმოქმედებს მხოლოდ კანონის შესაბამისად და დაცლილი იქნება ყოველგვარი ზეგავლენისაგან. რაც შეეხება სასამართლოს, აქ მთავარი პრობლემა არის კლანური მმართველობა, რაზეც არაერთგვის ითქვა უკვე. სასამართლო სისტემა რამდენიმე გავლენიანი ფიგურის მიერ იმართება, რაც ცალსახად გამოჩნდა ამ გასაუბრებისას. ამ მიმართულებით ბოლო წლებში გადაიდგა ნაბიჯები წინ, თუმცა ეს საკმარისი ნამდვილად არ არის. იმისათვის, რომ პირი მოსამ-

ართლე გახდეს, აუცილებელია გაიაროს იუსტიციის უმაღლესი სკოლა, რაც არასწორ მოთხოვნად მიმაჩნია, რადგან არ შეიძლება, მაგალითად, პარავარდის უნივერსიტეტადამთავრებულს ვუთხრათ, რომ ის არ არის კომპეტენტური და მას დამატებით სკოლის გავლა სჭირდება კვალიფიკაციის ასამაღლებლად. სინამდვილეში, იუსტიციის უმაღლესი სკოლა არის პირველი ადგილი, სადაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო “ფილტრავს” მისთვის არასასურველ კანდიდატებს. ამის შემდეგ კი მოდის მთავარი. მოსამართლის თანამდებობაზე განმსწესება შესაძლებელია მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, თან ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. საბჭო არც კი ამბობს, რის გამო უთხრა მან უარი თუნდაც დეკლარაციის პროკურორს ან ადვოკატს მოსამართლედ განმსწესებაზე. სასამართლო სისტემა დღეს არის დაზარალი და მასში “გარედან” ვინმეს შესვლა არის შეუძლებელი. სამწუხაროა ისიც, რომ მოსამართლეთა დაწინაურებას განსაზღვრავს არა ის, თუ რამდენად კარგია ესა თუ ის მოსამართლე.

ეცოდინება, რომ დავის შემთხვევაში მისი საქმე ასეთმა სასამართლომ უნდა განიხილოს. დამიჯერეთ, უმარავ ინვესტორს უთქვამს ამ მოტივით საქართველოში ინვესტირებაზე უარი. მოკლედ, არ არის სამართალი, არ იქნება მშვიდობა!

– საინტერესოა, რას ფიქრობთ მომავალი საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციული წესით ჩატ-

ვია. ჩემი აზრით, ვერ უნდა გავგვემსხვილებინა ადგილობრივი თვითმმართველობა, ეს შეამცირებდა ხარჯებს და სისტემა ბევრად უფრო მოქნილი და მოქალაქეზე გათვლილი იქნება.

რაც შეეხება პროპორციულ საარჩევნო სისტემას, ზოგადად, ეს დადებითი მოვლენაა იმ თვალსაზრისით, რომ უფრო სწორად ასახავს მომდევნო პარლამენტი ამომრჩეველთა ნებას, ვიდრე ეს ხდებოდა აქამდე. მოგეხსენებათ, მაჟორიტარების შემთხვევაში გამარჯვებულს მიჰქონდა მანდატი, ხოლო დამარცხებულის ხმები იკარგებოდა, რაც, რა თქმა უნდა, ცუდი იყო. თუმცა ახალმა სისტემამ ადგილი აღარ დატოვა რეგიონული წარმომადგენლობისათვის. თუ აქამდე ჩვენ გვყავდა ჩვენი დეპუტატი, რომელიც ანგარიშვალდებული იყო მოქალაქეების წინაშე, ეს ასე აღარ იქნება. პოლიტიკური მოვლენები სრულად გადაინაცვლებს ერთ ქალაქში, რეგიონები კი კიდევ უფრო დამორღვება ცენტრს, რაც, ზოგადად, ნებისმიერ პირობებში ცუდი და არასასურველი მოვლენაა.



არსებობს შუალედური გზა,



არამედ ის, თუ რამდენად ლიბერალია ეს მოსამართლე მმართველი სასამართლო კლანის მიმართ. მიმაჩნია, რომ ბოლო წლებში სასამართლომ მოიპოვა გარკვეული ტიპის დამოუკიდებლობა ხელისუფლების მიმართ (მაგრამ არა ყველა საქმეზე, განსაკუთრებულ საქმეზე ხელისუფლების ზეწოლა აშკარად ჩანს), თუმცა სასამართლო სისტემამ ეს დამოუკიდებლობა სათავისოდ გამოიყენა და მივიღეთ ის ცუდი სისტემა, რაც მივიღეთ. ზოგადად, სახელმწიფოს შენება სასამართლო სისტემიდან უნდა დაიწყეთ, რადგანაც არც ერთი უცხოელი ინვესტორი არ ჩადებს ფულს, თუკი მას

არებაზე? რამდენად წაადგება ეს ქვეყანას?

– საარჩევნო სისტემა ნამდვილად მნიშვნელოვანია, თუმცა ეს საკითხი არ შეიძლება ცალკე კონტექსტიდან ამოგლეჯილიდ განვიხილოთ. საარჩევნო სისტემამდე სანამ მივალთ, ვერ უნდა გადავწყვიტოთ, რა ტიპის ტერიტორიული მოწყობა გვაქვს ქვეყანაში. დღეისათვის საქართველოში არის ორი ავტონომიური რესპუბლიკა, აჭარისა და აფხაზეთის, ერთი ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკა – სამხრეთ ოსეთის, ხოლო სხვა ტერიტორიული ერთეულების სტატუსი დღემდე ბუნდოვანი და გაურკვევე-

ეს არის რეგიონულ-პროპორციული სისტემა, სადაც უზრუნველყოფილია როგორც რეგიონული წარმომადგენლობა, ასევე პროპორციული სისტემა. მარტივად რომ ავხსნა, მაგალითად, იმერეთს ექნებოდა 10 საპარლამენტო მანდატი. პარტია, რომელიც მიიღებდა 60%-ს იმერეთის რეგიონში, ის მიიღებდა 6 მანდატს და ა. შ. სამწუხაროა, რომ ამ სისტემაზე განხილვის გარეშე ვთქვით უარი. ჩემი აზრით, ის საუკეთესოა ჩვენს სინამდვილეში.

ზოგადად, იმის თქმა, რომ მაჟორიტარული სისტემა ცუდია და პროპორციული არის კარგი, არასწორია. მაგალითისათვის, ამერიკის საარჩევნო სისტემა სრულად პროპორციულია, მაგალითად, 2016 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში ჰილარი კლინტონმა 3 მილიონი ხმით მეტი მიიღო, ვიდრე დონალდ ტრამპმა, თუმცა მაჟორიტარული სისტემის გამო პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გახდა.

სასამართლოში არ არსებობს კარგი და ცუდი სისტემები, არსებობს სისტემათა დამახინჯება, რომელიც მათ მთელ ხიბლს უკარგავს. ამიტომ ყოველი სამართლებრივი სისტემა უნდა მოერგოს კონკრეტულად ამ ქვეყნის სპეციფიკასა და რეალობას.

მშრომელი კაცის მარჯვენა

ადამიანურობის, განსაკუთრებით მამაკაცის მტკიცე ბუნების ჩამოყალიბებაში შრომას დიდი მნიშვნელობა აქვს. იგულისხმება გეგმავლობითი ჯაფა და არა გადამეტებული, რომელიც აზიანებს, გარკვეულწილად აქვეითებს ცხოვრებისეული მდგომარეობის დადებითად გაანალიზებას. შეიძლება ითქვას, კაცი თავისი ნაღვალით, ნაშრომით წარმოიხდება.

ასეთი შრომისმოყვარეობის, გამრჯეობის ცხოვრების ავანჩაუნის მცოდნე, სტუმართმოყვარე ადამიანი სამტრედიისში მცხოვრები, მოყვასის დამფასებელი, კარგი წინაპრების შთამომავალი, კეთილი და ერთგული მუშაი, აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათში დაბადებული ანზორ მიმინოშვილი. მამა, წარჩინებული ადამიანი, აკაკი მიმინო-

შვილი ადრე გარდაეცვალა. პატარაობიდან დედასთან, და-ძმებთან ერთად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოწვრილობილი იყო. ახლობლის მონახულებით, ჭირსა თუ ღზინში მხარში დგომით ყალიბდებოდა მისი სულიერება, რაც მის სისხლხორცში წინაპართა გენეტიკური გამოძახილის განმტკიცება და გამდიდრება იყო.

საკვალდებულო სამხედრო სამსახურის შემდეგ ქალაქ სამტრედიის მელიორაციის სამმართველოში ექსკავატორის მემანქანედ იწყებს მუშაობას. ჯერ კიდევ დამწყებ მუშაკს ახსოვს სამტრედიელთა გვერდში დგომა. მიმდინარეობდა ჭაობიანი ნიადაგის დაშრობითი სამუშაოები, გაჰყავდათ არხები. წლებმა მოიტანა გამოცდილება და დღეს მისი შრომისუნარიანობა და პროფესიონალიზ-

მი ბევრი ახალგაზრდისათვის მისაბამია. ანზორ მიმინოშვილი 47 წელი მუშაობდა სამტრედიის სამხრეთ-დასავლეთ კომინატში მექანიზატორ-ოპერატორად. ხელმძღვანელობდა აუ-ასეხა, კმაყოფილება გამოხატავდა მშრომელი კაცის მარჯვენით შესრულებული საქმის გამო, პატივისცემასა და ყურადღებას არ აკლებდა მას.

ქართული სტუმართმოყვარეობის მოტრფიალე მშრომელ კაცს, ანზორ მიმინოშვილს, გულს უხარებს, სიცოცხლით ავსებს თავისი ოჯახი: ერთეული მეუღლე, საყვარელი შვილები და შვილიშვილები. ოჯახზე მზრუნველ, ახლობლებისმოყვარე ადამიანს მინდა ეუსურგო დიდხანს სიცოცხლე, შრომისუნარიანობა, ბედნიერება და სიკეთე!

გაზსან პრემილა

ვაშაკიძე-ოორტის მეთოდი

ასე ეწოდება ვარსკვლავთა სივრცული განაწილების შესწავლის ახალ, მოხერხებულ მეთოდს, რომელიც ჩვენმა სასიქადულო მამულიშვილმა, მიხეილ ალექსანდრეს ძე ვაშაკიძემ შეიმუშავა.

სამტრედიისში, სოფელ დიდ ჯიხაში დაიბადა იგი 1909 წელს. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქართველი ასტროფიზიკოსი, 1936-1956 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში მუშაობდა.

პროფესორმა ვაშაკიძემ შეადგინა გარეგალაქტიკური ნისლეულებისა და გრძელპერიოდიანი ცეფეიდების ფერის მარეგულირება კატალოგი, რის საფუძველზეც გამოიკვლია სინათლის ვარსკვლავთმორისი შთანთქმა.

შეისწავლა მზის გვირგვინისა და ნისლეულების გამოსხივების პოლარიზაცია, აღმოაჩინა კაბორჩხალასახის ნისლეულის გამოსხივების არასიბიური ბუნება.

შემოქმედებითი სიმწიფის ასაკს მიღწეული, 47 წლისა გარდაიცვალა პროფესორი ვაშაკიძე. მისი სახელი მიაკუთვნეს მთავარის ჩრდილოეთის ნახევარსფეროს უკანა მხარის ერთ-ერთ კრატერს.

110 წელი სრულდება ამ დღეებში მეცნიერის დაბადებიდან.



ლევან ბაქრაძე

გამორჩეული მუსიკალოგითა და იუმორით

6060 ნაბიჯი

12 აგვისტოს 73 წლის გახდა. მისი ასაკი ახლობლებმა და მეგობრებმა იცნა. დანარჩენები კი ფიქრობენ, ქალბატონი ნანული წლებს იმატებს, რადგან მუდამ მოღიძვრებული, მხიარული ბუნების ქალბატონი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ჯერ რა დროს სიბერეა. ნანული რობაქიძე 1946 წლის 12 აგვისტოს სამტრედიამო, მოსამსახურის ოჯახში დაიბადა. დედამ – ბაბილინა რობაქიძემ, რომელიც პროფესიით ექთანი იყო, სამედიცინო სფეროში, კერძოდ, კანისა და ვენდ-ავადებათა დისპანსერში ადამიანთა ჯანმრთელობის სამსახურში თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარა.

მამა – ნიკოლოზ ბიკოპული, ეროვნებით ბერძენი, სამტრედიამო სოხუმიდან ჩამოვიდა. დაოჯახდა ქალბატონ ბაბილინაზე და გაჩნდა ნანული ბიკოპული-რობაქიძე.

ბატონი ნიკოლოზი ხელოვანი კაცი იყო, ბრწყინვალედ უკრავდა ვიოლინოზე. სამსახურებრივ საქმიანობას ვენდისპანსერში ეწეოდა, სამხედრო ნაწილის გამგე გახლდათ. მუსიკის მხრივ განსაკუთრებული ნიჭი ერება სწორედ მამის ხაზიდან მოდის. მართალია, ვიოლინოზე არ უკრავს, თუმცა თავდაპირველად მამამ სამუსიკო სკოლაში ვიოლინოს განხრით შეიფხვანა. პატარა ნანულიმ ფორტეპიანოზე დაკვრა არჩია. ეს პროფესია დღემდე მისი განუყოფელი ნაწილია. თბილისში საფორტეპიანო

განყოფილება ანდრია ბალანჩივაძის სამუსიკო სასწავლებელში დაუსწრებლად დაამთავრა. მანამდე ფოთის სამუსიკო სასწავლებელი იყო, სადაც დღის განყოფილებაზე საგუნდო-სადირიჟორო ხელოვნებას დაეუფლა.

ბევრი წელი იმუშავა დომენტი შანიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში სოლოფეკოს მასწავლებლად.



თბილად იგონებს ამ სკოლის დირექტორს, ოთარ შანიძეს და მთელ პედაგოგიურ კოლექტივს. ამჟამად ტოლუბის სამუსიკო სკოლაში სოლოფეკოსა და ფორტეპიანოს ასწავლის.

მისი ხელი ეტყობა ტოლუბის ახალგაზრდობას – წელიწადი არ გავა, ნანული რობაქიძის მოსწავლეებმა შენაყიდან, სახელოვნებო ფესტივალიდან, რომელსაც ცნობილი პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი ხე-

ლმძღვანელობს, საპატიო დიპლომები არ წამოიღონ.

ნანული რობაქიძე “სამტრედიის მაცნესთან” წლებადღებულ კონკურსს იხსენებს: “წელს შეუძლოდ ვიყავი, კონკურსზე ჩემი მოსწავლეები ტოლუბის სამუსიკო სკოლის დირექტორმა მაია ნიკოლეიშვილმა წაიყვანა. მარამ და ნინო წეროძეებმა, ლეილა ვაშაყმაძემ საუკეთესოდ დაუკ-



რეს შუმანისა და ლეშგორნის ნაწარმოებები და საპატიო დიპლომები დაიმსახურეს. მომივიდა მოკითხვა: ვალერიან შიუკაშვილი ჩემს ჯანმრთელობაზე წუხდა და გამოჯანმრთელებას მისურვებდა”.

მუსიკა ნანული რობაქიძისათვის პაერია, რომლის გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენლად მიაჩნია. სამტრედიამო მას თითქმის ყველა იცნობს თავისი გამორჩეული მუსიკალობითა და ხალასი იუმორით. ასევე

დით, ქალბატონი ბადრი რობაქიძით, რომელთან ერთად საუკეთესოდ მღერის. ცნობილია სიმღერა “სამტრედიისთან”, რომელიც სახელგანთქმულმა კომპოზიტორმა დავით თორაძემ საგანგებოდ ბადრი რობაქიძის ხმისთვის დაწერა. ქალბატონი ნანული ამ სიმღერას აკომპანიმენტს უკეთებს.

აღიარებულია, როგორც საუკეთესო დიასახლისი. გემრიელი ქართული სუფრა ქართულ-ბერძნულ ოჯახში ხშირად იმლება მეგობრებისთვის, ნათესავებისთვის, ერთადერთი ვაჟი – გიგა დელიბალიძე, პროფესიით ინჟინერია, ჰეავს ორი შვილი – გიგა და დათო და ერთი შვილიშვილი – სესილი.

ამბობს, რომ ბედნიერი ქალია. გარშემო მყოფთაგან უამრავ სიყვარულსა და პატივისცემას გრძობს. არ უჭირს საყვარელი საქმის კეთება. ახალი ენერგიით მოუთმენლად ელის 16 სექტემბერს, ტოლუბის სამუსიკო სკოლაში ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

“ტოლუბი გამორჩეული სოფელია არა მარტო ჩვენს მუნიციპალიტეტში, არამედ მთელ იმერეთში. უღამაზესი ბუნება, ხალასი და კაცობრივად საზოგადოება. არ შემი-



ძლია, განსაკუთრებულად არ ვახსენო ტოლუბის მოსახლეობა, მუნიციპალიტეტის საკრებულოდან ტოლუბის თემში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ალექსანდრე ბოცვაძე. სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი ილია მჭავია, რომელიც თავს ევლება სოფელს”. – ამბობს ჩვენი რესპონდენტი. “სამტრედიის მაცნეში” ქალბატონ ნანული რობაქიძისთან საუბარი დაბადების დღეზე ჩაწერა. თითქმის 9 ათეული წლის გახეთში მისი პედაგოგიური საქმიანობის შესახებ არაერთხელ დაწერილა.



მარცხნიდან: მკვლეი გოცაძე, იამზე გაგუა, ჯილდა მაჭავარიანი, ირა წიქვაძე, ჯემალ კუტალაძე, ზურაბო რუხაძე, სულეიო არაბიძე

1947 წლის 1-ლ სექტემბერს შემიყვანეს რეინიგზის № 24 ქალთა საშუალო სკოლაში. სკოლის დირექტორი გახლდათ ქალბატონი შუშანა ქართველიშვილი, ხოლო სასწავლო ნაწილის გამგე იყო დავით ანდრიაძე. დაწყებითების პედაგოგები: ქსენია კვინიკაძე, ტატანა ტაბიძე, ნადია ივანიკაძე, ვენერა ჩიგოგიძე, მანია წურწუშია, თინა ჩახუნაშვილი, მარო გიორგაძე და სხვები.

სკოლაში ფუნქციონირებდა ბუფეტი. იქ ყოველდღე მორიგობდნენ პედაგოგები, რომლებიც ამოწმებდნენ პროდუქციას და პასუხისმგებ-

ბელნი იყვნენ მის ვარჯისანობასა და სისუფთავეზე. ჩვენს სკოლაშიც, როგორც ყველგან, იყო პიონერთა ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა თალიო ქართველიშვილი, შემდეგში უკვე პედაგოგი. პიონერხელმძღვანელს ჰყავდა წარჩინებული მოსწავლეები. რაზმისა და რაზმეულის თავმჯდომარეები, რომლებიც ნაყოფიერ შრომას ეწეოდნენ პიონერებთან და შედეგებს მოახსენებდნენ ხელმძღვანელს.

ჩვენი სკოლის პიონერხელმძღვანელს, როგორც წარჩინებულს, კომკავშირის რაიკომმა გადაუხადა კო-

მოკონებები სკოლაზე

მკავშირული ქორწილი, რაც სამტრედიამო პირველი შემთხვევა იყო.

მაღალი კლასის პედაგოგები გახლდნენ: შურა კახაძე, ზინა გაგუა, თამარ ჯანელიძე, თამარ რუსია, ქსენია გოგოძე, ნინა წიქორიძე, მარო გიორგაძე, რაჟდენ კრავიშვილი, სილოვან არევაზოვი, საშა გელეიშვილი, გოგიტა მაჩიტაძე, ილია გოგოძე, გივი კალაძე და სხვები. სკოლის მოწინავე მოსწავლეებს იღებდნენ კომკავშირში.

სკოლაში ყოველწლიურად ტარდებოდა ოლიმპიადები. ამიერკავკასიის რეინიგზის №24 სკოლას უცვლელად ეჭირა პირველი ადგილი. გამოცდებისას თბილისიდან ჩამოდიოდნენ დამსწრეები, მათ შორის თომა ხურცილავა და სხვები. ისინი ძალიან მკაცრად ატარებდნენ გამოცდებს. ამის შედეგი იყო, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლეების უმრავლესობა სასურველ უმაღლეს სასწავლებელში უპრობლემოდ აბარებდა გამოცდებს. სკოლას ჰყავდა ექიმი ქეთო კამაძიძე და მედლა ნინა ანდრიაძე, რომლებიც ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნავდნენ.

განსაკუთრებით ემზადებოდნენ 7 ნოემბრისა და 1-ლი მაისის დემონსტრაციისათვის. ვიკრავდით განსაკუთრებულ ფორმებს. სკოლას წინ

მიუძღოდა მანქანა, რომელზეც დამაგრებული იყო ტაიჯი და ორბელი. მათზე სატანგარჯიშო ილეთებს ასრულებდნენ სკოლის სპორტსმენები, ერთ-ერთი მათგანი იყო ია კუჭუხიძე.

მახსოვს, მე-5 კლასში ყოფნის დროს, საკლასო ოთახში შემოვიდა კლასის დამრიგებელი ზინა გაგუა, რომელსაც შემოჰყვავა სუსტი, სახენაირი ქალი. კლასის დამრიგებელმა გაგვაცნო ანა ტეპლინსკაია, იგივე “ანა ილინიჩნა” და გვითხრა: დღეიდან ეს იქნება თქვენი რუსულის მასწავლებელი. ანა ტეპლინსკაია იყო ერთი სიტყვაც არ იცოდა ქართული, მაგრამ ისე ოსტატურად გვიხსნიდა გაკვეთილს, რომ ყველას შეგვაყვარა რუსულიც და თავისი თავიც.

ჩვენს სკოლაში გვყავდა რადიოკორესპონდენტი, რომელიც ორმაბათიდან შაბათის ჩათვლით აგროვებდა ინფორმაციას მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ. სამი გაკვეთილის შემდეგ ყველანი ეზოში შევიკრიბებოდით და აცხადებდნენ, ვინ რა შეფასება მიიღო. ამან მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მხრივ ძალიან დიდი შედეგი გამოიღო. ყველა საკლასო ოთახში დამონტაჟებული იყო რად-

იოკანბი, რომლის მეშვეობით დირექტორს შეეძლო ნებისმიერ კლასში მოესმინა გაკვეთილის მიმდინარეობა პედაგოგისა და მოსწავლეების შეუქმნევლად. ჩვენი სკოლის დირექტორი ქალბატონი შუშანა ქართველიშვილი ზომიერად მკაცრი გახლდათ. როცა ის აივანზე გამოჩნდებოდა მთელ ეზოში სამარისებური სიჩუმე დასადგურებდა.

სკოლიდან კვირამი ერთხელ მივყავდით კინოში, იქვე არსებულ რეინიგზელთა კლუბში. თან გვახლდა კლასის ხელმძღვანელი, რომელიც თვალყურს გვადევნებდა. თანაკლასელებში მასწავლებელთა შეილებიც იყვნენ: ნანი მაჩიტაძე და იამზე გაგუა, თუმცა მათ არავინ ასხვავებდა სხვა მოსწავლეებისაგან.

ვისურვებდი, ისეთი პედაგოგები, როგორებიც ჩვენს სკოლაში ასწავლიდნენ, მრავლად ჰყავდეს საქართველოს!

დაბოლოს, უღრმეს მადლობას მოვასხენებ ქალბატონ ნათელა გელიშვილსა და გაზეთის რედაქციას, რომ მომცეს საშუალება გამეხსენებინა ჩემი ახალგაზრდობის განუმეორებელი და დაუვიწყარი წლები.

ირა წიქვაძე-ბაგაშვას

1924 წლის სისხლიანი აპრილი სამტრედიის რაიონში

მწ წლის შრომის ექვთერანი, ბუნების დაცვის საზოგადოების წევრი – აი, ამ ტიტულით აქვეყნებდა ვაჟი "სამტრედიის მაცნეში" წერილებს ღვაწლმოსილი ინჟინერი, ბატონი ალექსანდრე ჩაგუნავა, კაცი, რომლის თვალწინაც ჩაიარა კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პროცესმა. მას ახსოვდა 1917 წლის რევოლუცია, მეორე მსოფლიო ომის პერიოდი, 1937 წლისა და 1924 წლის სისხლიანი ქრონიკები.

ბატონი ალექსანდრეს ძალიანსმეგვით იმ უბანში, სადაც იგი ცხოვრობდა, მგზავრთა მოსაცდელი დაიდგა, დაირგო ბაღმა და გაჩნდა უკვე დამკვიდრებული ტოპონიმი "ბაღმა გაჩერება".

მოვიდა აგვისტო, თავს ისევ გვახსენებს აგვისტოს იმ შორეული, დამარცხებული, თუმცა მაინც უკვალოდ არგამქრალი აჯანყების მოვლენები და მცირედი შემოკლებით იმ წერილის ვითაგზობით, ჩვენი ვაჟის (მ დეკემბერი, 1992 წელი) ერთ-ერთ ნომერში ბატონმა ალექსანდრემ რომ გამოაქვეყნა:

"ჩემს საუბარში მინდა გამორჩევი წარმოვადგინო ჩემი მეზობელი, საქართველოს თავისუფლებისათვის გამბრუნებულ თავგანწირული – ჭიჭიო მიტროფანეს ძე ბალანჩივაძე. იგი დაიბადა ნაბაკეში, მრავალშვილიან ოჯახში. მან დაამთავრა კულაშის მურნალის სკოლა და საქმეს მოჰკიდა ხელი.

1921 წელს სამტრედიის რაიონში ჩამოყალიბდა კომკავშირული უჯრედი, მასში საეკუო ახალგაზრდებს იღებდნენ. ამ უჯრედში შესვლა ჭიჭიოსაც შესთავაზეს, თუმცა მან უარი განაცხადა.

1924 წლის მიტინგებისას ჭიჭიო 25 წლისა იყო და სამტრედიის ფოსტის უფროსის მოადგილე მუშაობდა. მიტინგების აღსაკვეთად სამტრედიის ფილიალში მასხარაძე გამოგზავნეს, ამის შესახებ საიდუმლო დეპეშა არსებობდა. ჭ. ბალანჩივაძემ დეპეშის შინაარსი მიტინგის ორგანიზატორებს აცნობა, რომლებმაც კოპიტანის პლატფორმაზე ჩამოსვეს ფილიალში მასხარაძე და მოათავსეს ბაშის ეკლესიაში. ამ უკანასკნელის მოვალეობის შესასრულებლად თბილისიდან ვანო სტურუა ჩამოვიდა, რომელმაც შეკრიბა სამტრედიელი ჩეკისტები, კომკავშირელები, წმინდა გიორგის ეკლესიის მომიტინგეებს (ალბათ, ეკლესიასთან იმართებოდა მიტინგები ლ. გ.) ალფა შემოარტყეს და ყველანი პაპანაქება სიციხეში კერძო ღუქანში შეამწყვდიეს, შემდეგ ეს ხალხი შეჰყარეს ორლერძიან ვაგონებში.

ჭიჭიო ბალანჩივაძის საქმიანობა ჩეკისტებმა გაიგეს. ჭიჭიოს ეზოში ავი ქოფაკის შიშით მათ შესვლა ვერ გაუბედეს, ამიტომ ახალგაზრდობის, ხალვათად ჩაცმული ჭიჭიო ეახლა დაუპატიჟებელ სტუმრებს, რომლებმაც მასპინძელს ტანსაცმლის გამოცვლა არ აცალეს, ჩასვეს ეტლში და წაიყვანეს. ვაგონებში დასახვრეტად შეყრილ ხალხს ჭიჭიო ბალანჩივაძეც მიუმატეს. მატარებელი მდინარე ცხენისწყლის ხიდთან მიიყვანეს და თითოეული დახურული ვაგონი გარედან საგულდაგულოდ დაცხრილეს.

გვაგებოდა საერთო ორმოში ჩაჰყარეს და სადღეისოვექციოდ ზედ ჩაუქრალი კირი მიაყარეს.

ის ცოდვის მატარებელი ჩეკისტებმა იარაღის მუქარით ძალით წააყვანინეს ჭიჭიოს კარის მეზობელს, სოფლის მღვდლის ვაჟიშვილს, გიორგი ნესტორის ძე კანდელაკს..."

იმავე წერილში ბატონი ალექსანდრე სვამდა საკითხს ქუჩისათვის, სადაც ჭიჭიო ბალანჩივაძე ცხოვრობდა, მისივე სახელი მივუთვნებოდა. მართალია, ეს სურვილი სურვილადვე დარჩა, თუმცა ამ წერილით მაინც უკვდავო ჭიჭიო ბალანჩივაძის სახელი ალექსანდრე ჩაგუნავამ. აი, ასე მძიმე აღმოჩნდა 1924 წლის აგვისტო სამტრედიელებისათვის.

ლევან ბაგრატი
კაპრი, რომელიც გოგონებისა 1924 წელს აკანსებაში
პაპიტანის ღვაწლმოსი
(რესტავრირებული) ოქსაგის მუზეუმის მსახურში.



ამ დღეებში საზოგადოებამ უკანასკნელ გზაზე გააცილა ღირსეული სამტრედიელი, რაიონის ყოფილი თავკაცი, ბრწყინვალე ოჯახის წინამძღოლი, ბატონი **თამაზ კარლოს ძე მიქაძე.**

იგი 1944 წელს სამტრედიის რაიონში დაიბადა. 1960 წელს წარჩინებით დაამთავრა სამტრედიის №2 საშუალო სკოლა და იმავე წელს მუშაობა დაიწყო სამტრედიის საკონსერვო კომბინატში მუშად. პარალელურად სწავლობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1968 წელს. 1967 წელს გადაიყვანეს საქართველოს კომკავშირის რაიონის ინსტრუქტორად, ხოლო 1968 წელს აირჩიეს კომკავშირის რაიონის მეორე მდივნად. 1969-1971 წლებში მუშაობდა საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიონის ინსტრუქტორად. 1971 წელს კი ინიშნება სამტრედიის საკონსერვო კომბინატის მთავარ ინჟინრად. 1974 წელს აირჩიეს პარტიის სამტრედიის რაიონის მეორე მდივნად, ხოლო 1985 წელს იგი არჩეული იქნა სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. 1987-1990 წლებში თ. მიქაძე საქართველოს კ. პ. სამტრედიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანია. თ. მიქაძის თავკაცობის პერიოდში ბევრი რამ გაეთდა რაიონის კეთილმოწყობისათვის. გაშენდა ახალი პარკი, რომელიც დღეს "სომეხების პარკის" სახელითაა ცნობილი. გაყვანილ იქნა კანალიზაციის ახალი ქსელები და შეიქმნა წყალმომარაგების ახალი სისტემა, დასრულდა კანალიზაციის სათავო ნაგებობების მშენებლობა, გაყვანილ იქნა ახალი წყალსატუმები არხი, ოცამდე ქუჩაზე გაყვანილი განათების სისტემა. მოსახლეობის ბინებით უზრუნველყოფის მიზნით რაიონში პირველად შეიქმნა ბინათმშენებლობის ამხანაგობა, 1991-1998 წლებში თ. მიქაძე ქალაქ მოსკოვში დაარსებული კომერციული ფირმა "იმედის" აღმასრულებელ დირექტორად მუშაობდა, ხოლო 1998 წლიდან იგი სააქციო საზოგადოება "სამტრედიის ნავთობის პროდუქტის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს, სადაც 2003 წლამდე დაჰყო. ქვეყნისა და მშობლიური ქალაქის, ღირსეული ოჯახის მომავალზე ფიქრში გაიღია სიცოცხლის უკანასკნელი წლები.



თამაზ კარლოს ძე მიქაძის ხსოვნა მარად დარჩება მეგობრებისა და საზოგადოების მეხსიერებაში.

ზორა ბაგრატი, ნათელა გელეიშვილი, დავი იმნაიშვილი, ღვთაძე კახიანი, ბურჯაძე ვინცხვაშვილი, გურამ იმნაიძე, ანატოლი ღვანიაძე, თემურ კირაძე, მის ბოჭორიშვილი, რამაზ კანდელაკი, გიორგი ლეჟავა, ბურჯაძე ნესაძე, მირაზ კალაძე, მირაზ სტურუა, თემურ ტორიძე, ბაღრი კახაიძე, მირაზი კუპრაძე, მამუკა ღვანიაშვილი, ნუზუარ კონიაძე

ზორა ვაშაკიძე, ნათელა გელეიშვილი, დავი იმნაიშვილი, ანჟელა ბუაძე, ნანა ჩხეიძე, ლამზირა მელქაძე, მზია ვეკუა გელისტივილით იუწყებიან საუკეთესო მეგობრის, წლების განმავლობაში რაიონის ხელმძღვანელის, ღირსეული ოჯახის თავკაცის, ჭეშმარიტი სამტრედიელის **თამაზ კარლოს ძე მიქაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძობენ ჭირისუფალს.

ვახუტ "სამტრედიის მაცნის" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა რაიონის ყოფილი თავკაცი, ბატონი **თამაზ კარლოს ძე მიქაძე** და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

საზოგადოება "სამტრედიელი" იუწყება, რომ გარდაიცვალა ბატონი **თამაზ კარლოს ძე მიქაძე** და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

ვახუტ "სამტრედიის მაცნის" რედაქცია თანაუგრძობს ნონა თევზაძეს მამის, ბატონი **ზურაბ თევზაძის** გარდაცვალების გამო.

ქეთევან ჭაღიძე!

მშვიდი, გაწონასწორებული, ერთგული მეგობარი, საოცარი დედა, მეუღლე, თავისი საქმის უბადლო პროფესიონალი – ქეთევან ჭაღიძე – იუბილარია!

გილოცავთ, ჩვენი მშვენიერი მეგობარი, დაბადების დღეს. გისურვებთ უღვე სიხარულს, ბედნიერებას ღამაში ოჯახით, წარმატებებს როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში!

ქეთევან ჭაღიძე

მოჭირანახული, ნათელი, სხვისთვის მზე, თავად სანთელი, თვალები ცისფერის ნამწვევი, მათა აკანში ნარწვევი. ამბობ: ფუქზე რაჭაში, გამცივლო კერია, ეგ ტკივილი კი, ძვირფასო, შენი ოცნების ფერია. ბაუშობა მთაში გეძახის, ბარში ქარს მოაქვს ძახილი, გულმკერდზე გადავილიან, ცისარტყელები მარხილით. მოგძებნის რაჭის ნიავი, შენთან საუბარს ნატრული, მიყვარხარ... – გეტყვის შრიალით და აგამღერებს მაყრულით. **უახლოესი მეგობრები**



დაბადების დღეს, განსაკუთრებულ საიუბილეო თარიღს დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ გაზეთ "სამტრედიის მაცნის" მთავარ რედაქტორს, ქალბატონ ქეთევან ჭაღიძეს! ვუსურვებთ მისი ცხოვრება, ოჯახური ბედნიერება და საზოგადოებრივი საქმიანობა მომავალშიც ისეთივე წარმატებული და ნაყოფიერი იყოს, როგორც აქამდე. საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა უფალმა არც მომავალში მოაკლოს! მისი კალამი კვლავაც აღამაზებდეს ჩვენი გაზეთის ფურცლებს.

"სამბრალონის მაცნე"

ილიგრაქელი!

საოცარი უბრალოება, სისადავე მრავალთაგან გამორჩევეს თავისი უხადო, მრავალმხრივი ნიჭით ისედაც გამორჩეულ კაცს.

ჩვენი გაზეთისა და რედაქციის დიდი ხნის ერთგულ მკითხველსა და მეგობარზე, აკადემიკოს ვალერიანე თევზაძეზე მოგახსენებთ, ერთგულ მეცნიერად რომ დარაჯობს მშობლიურ სოფელს და ბოლომდე იხარჯება მომავალი თაობებისათვის.

არცთუ იშვიათად მეცნიერული წერილებითაც ანებივრებს მკითხველთ, რითაც დიდ სამსახურს უწევს ახალბედა პედაგოგებს, აბიტურიენტებს, სტუდენტებს, მოსწავლე-ახალგაზრდობას.

იუბილარია ამ დღეებში ბატონი ვალერიანე თევზაძე, უდიდესი პატივისცემით ვულოცავთ დაბადების დღეს, ხანგრძლივ, ბედნიერ სიცოცხლეს ვუსურვებთ ოჯახთან ერთად და მკითხველს მის რამდენიმე ლექსს ვთავაზობთ:

გარეთ ისევ თოვს და ხმაურობს, გარეთ ისევ თოვს და წვეს სითეთრე, მთვარე წასულა სალოცაუროდ, ამდამ ძალი რაღას იყვებებს. ცეცხა და ცეცხა ფიქრები თეთრი და იღვენიება სული ფიქრებად... იმ დღისთვის, როცა აღარ ვიქნებით, იმ დღისთვის, როცა გზა შეიკვრება.

ქარი ხმელ ფოთლებს კარტივით აფენს და მტვერი ავსებს ცარიელ ქუჩებს. ზღვა ისე ლოყავს სიციხიან ნაპირს, როგორც ჩვილი მწყურვალი ტუჩებს.

ლევან ბაბიჩავა



ია ნურგილაშვილი!

იაკო, ჩემო საყვარელო მეგობარი, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ, პირველ რიგში, ჯანმრთელობას, შენს საყვარელ დასთან, თამარ ზურცილაშვილთან, ერთად უღვე სიყვარულსა და სიხარულს, ჩემო კარგო!


ლილი სიმონაშვილი
თამარიკო კახილაშვილი



ნინო ჭაღიძე!

საყვარელ დას გილოცავთ საიუბილეო თარიღს! ყოველივე კარგს გისურვებთ. ბედნიერებით სავსე წლები შეგმატებოდეს. იხარე შენი ოჯახით! გაძლიერდი, ღმერთი იყოს შენი მფარველი!

ლევან
მეღვა და ქეთევან ჭაღიძეები



– წამიყვანე პარტიაში, თუ არადა ვიტირებ. – ეკა, შენ რომ წაგიყვანო, ბოლოს დედას მიტირებ.



სამტრედიის უანსი ექვთიშვილი ტურნირის ნახევარფინალში იასპარეზოს

იმერეთის რწმუნებულის თასზე ქვეჯგუფებში მე-5 ტური გაიმართა. სამტრედიის თვითმმართველობის გუნდი წყალტუბოს ადგილობრივი თვითმმართველობის გუნდს ლანირში მინი საფეხბურთო მოედანზე 18 აგვისტოს დაუპირისპირდა. შეხვედრა დაძაბულ ორთაბრძოლაში გაიმართა. დიეტო კაკაბაძის მიერ გატანილი გოლით პირველ ტაიმშივე დაწინაურდნენ მასპინძლები. წყალტუბოელებმა საპასუხო გოლი ასევე პირველ ტაიმში გაიტანეს და ანგარიში გათანაბრდა. მეორე ტაიმში სამტრედიის გუნდმა სამი უპასუხო გოლი გაიტანა. 2:1 – დიეტო კაკაბაძემ სამტრედიის კვლავ დააწინაურა. მასპინძელთა უპირატესობა განამტკიცა აკაკი ჭანჭავაძის მიერ გატანილი ორმა გოლმა. საბოლოოდ შეხვედრა 4:1 სამტრედიის სასარგებლოდ დასრულდა.

იმერეთის რწმუნებულის თასზე სამტრედიის ქვეჯგუფში მდგომარეობა დაძაბულია. ხონის გუნდი 9 ქულით ლიდერობს; მე-2 ადგილზეა სამტრედია 8 ქულით; მესამეზე – ქუთაისი 7 ქულით; მე-4 პოზიციასზეა წყალტუბო 4 ქულით. დასკვნითი შეხვედრები 25 აგვისტოს გაიმართება. სამტრედია ქუთაისში ადგილობრივი თვითმმართველობის გუნდს დაუპირისპირდება. გამარჯვების შემთხვევაში სამტრედიას შანსი ეძლევა იასპარეზოს ტურნირის ნახევარფინალში.

ნინო ნახილაშვილი



რედაქციის მისამართი: სამტრედია, რუსულის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11



დირექტორი ბაქან გოგიანი
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაღიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბიჩავა
კომპიუტერული გრაფიკა მამა პაპავა